6. **ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“** / ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. - თბილისი, 2013. - ISSN 1987-9865. - 15-10-9. - გვ.52-54. - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე. - ლიტ. გვ.53
7. **დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი** / ივ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. - თბილისი, 2013. - ISSN 1987-9865. - 15-10-9. - გვ.64-66. - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე
8. **საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერების და განათლების ჰარმონიული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები (ფარმაცია, ბიომედიცინა, მედიცინა და სპორტი) კონცეფცია** / გიორგი ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. - თბილისი, 2014. - ISSN 1987-9865. - N16-11-10. - გვ.56-62. - ორიგინალური სტატიები და სამეცნიერო აქტიობები. - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე;
9. **დოლიძე ი. - ვალეოლოგიური განათლება წარმატებული ქვეყნის საფუძვლიანი ბარათი** // საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, 11;
10. **დოლიძე ი. - სანოლოგია - ჯანმრთელობის მართვის ფუნდამენტური მოძღვრება** // ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2011, 2;
11. **დოლიძე ი. - სამკურნალო პედაგოგიის როლი სამედიცინო ვალეოლოგიაში** // საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2012, 12;
12. **დოლიძე ი. - სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში** // მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2014, 1.

რეზიუმე

ინტეგრირებული მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია)

ბ.ჩახუნაშვილი

მედ. მეც. დოქ. პროფესორი – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე (თბილისი, საქართველო)

წლების მანძილზე წარმოებულმა კვლევებმა, და შესაბამისად, დაგროვილმა ცოდნამ, შესაძლებელი გახადა ინტეგრირებულ მეცნიერებათა შორის და კერძოდ ვალეოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში სადაც კი იგი ვითარდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფება და მის განვითარებას სპეციალური პროგრამები ეძღვნება, რადგან სწორედ ვალეოლოგია არის ერთ-ერთი რეალური გზა სრულფასოვნად უზრუნველყოს ჩვენი პლანეტის სწრაფად მზარდი მოსახლეობა.

SUMMARY

INTEGRATED SCIENCE, AS A NECESSITY FOR XXI CENTURY (VALEOLOGY, SANOLOGY)

G.CHAKHUNASHVILI

Doctor of medical science, Professor, Chairman of Georgian National Section of Euroscience (Tbilisi, Georgia).

After years of various researches, and therefore gained knowledge, it has become possible to grant special significance to Valeology among integrated science. In every developing and developed countries this field is under governmental surveillance and many programs are held due to its promotion, because indeed Valeology is the only way to provide the valuable growth of entire population on our planet.

საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია Humanitarian and Art Academy of Georgia



ენას ბიწუნებ, ქართველო! ებრაე არა! მაშ რობორ?

ბიჭო ბოჯბუა

(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

დავიწყეთ ეპიგრაფი.

უკვე სასიამოვნო სიახლედ მკვიდრდება ყოველკვირეული ტელეგადაცემა „ექიმები“, რომლის მთავარი გმირია ოთხი ახალგაზრდა, მაგრამ ფრიად განათლებული, გამოცდილი და სხვადასხვა პროფილის მადლიანი მკურნალი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ისინი ძირითადად კარგი ქართულით მეტყველებენ, რაც მეტად სასიამოვნო და სასარგებლოა. მაგრამ... ხდება ხოლმე გამონაკლისიც. მაგალითად: თითოეული გადაცემის შემდეგ ერთ-ერთი იმ ექიმთაგანი მოგვიწოდებს, რომ „ექიმებს“ ვუყურებთ „ყოველ კვირას, ექვს-საათიანი „კურიერის“ „შემდეგ“. არადა, ასეთი „კურიერი“ არ არსებობს ბუნებაში.

როგორ არ არსებობს! – შემომწერებიან შენიშვნით გაღიზიანებულნი. განა ასეთ გამოთქმას წამდაუწუმ არ იყენებენ ჩვენი ტელეწამყვანები?

გეთანხმებით, კი, იყენებენ ასეთი ფორმით: „იხილეთ





„მოამბის“ რვასათიან (თერთმეტსათიან) გამოშვებაში. „ნახეთ სამსაათიანი (თორმეტსათიანი) „კურიერის“ შემდეგ, მაგრამ შეცდომით, რომელიც კი არ უნდა გავიმეოროთ, არამედ განვდექვით.

სამ, ექვს, რვა, თერთმეტ, თორმეტსაათიანი... ნიშნავს დროის, კერძოდ, საათის ხანგრძლივობას. ე.ი. რა დროის (რამდენი საათის) განამელობაში ხდება მოქმედება. ასე ხანგრძლივი დროიტ კი არ იმართება არც „კურიერისა“ და არც „მოამბის“ გადაცემები (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა).

მაშ, როგორ უნდა ვთქვათ და ვწეროთ სწორად? ჩემი აზრით, ასე: „ექიმებს“ ვუყურით და მოვუსმინოთ ყოველ კვირას, ექვსი (უმჯობესია თერამეტი) საათის „კურიერის“ დამთავრების შემდეგ (თანავე).

ნუ მიბაძავე უენათმეცნიერო ტელეწამყვანებს! არ გაეადრებათ!

აღნიშნულ გადაცემასთან დაკავშირებით გაგისხენოთ ორი მაგალითიც: 1. გახსოვთ, ალბათ, აქ სამ მაკაც ექიმთაგან ერთია წვეროსანი და მას რატომდაც წვერებიანად მოისხენიებენ ხოლმე (მსგავსად სიტყვებისა – თვალებიანი, ყურებიანი, უღვაშებიანი...).

წვერებიანი შეცდომაა, როცა იგულისხმება მამაკაცის ყბებსა და ნიკაპზე ამოსული თმა (წვერი). ასეთ შემთხვევაში ეს სიტყვა გამოიყენება მხოლოდ ირიცხვში. მრიგად, სწორია წვერიანი და არა წვერებიანი. ასევე კომპოზიტების შედგენისა და გამოყენების დროსაც – წვერგაუპარსავი, წვერთეთრი, წვერმოპარსული, წვერმოშეგებული... და არა წვერგაუპარსავი და ა.შ.

2. „ექიმების“ გადაცემას ექვია ერთი ცნობილი ტელეწამყვანი. ღოცა ჰკითხეს – თქვენ რა გაწუხებთო, უპასუხა: ხშირად მაქვს პრობლემა ყელზეო.

ხომ შეიძლებოდა – ამ მშვენიერ ასულს უბრალოდ, მარტივად, გნებავთ, უპრობლემოდ, მაგრამ ნატიფი, სანდომიანი, საამო ქართულით ეპასუხნა: ხშირად მტკივა ყელიო ან ხშირად მაწუხებს ყელის ტკივილიო?!

ჯოგლა, უთუოდ ჯოგლა!

ექიმებს კიდევ შევეხმიანებით. ახლა კი სხვებსაც შევეხოთ და გავკენწლოთ კიდევ.

რამდენიმე წელია, რაც მესმის ერთი უცნაური სიტყვა საფეხმავლო (ხიდი, გზა...). ისიც ტელე და რადიოწამყვანთა „წყალობით“.

რამდენადაც ვიცი, ეს ტერმინი, თავდაპირველად დაკავშირებული იყო ანაკლიაში, ზღვისპირად აგებულ ხილთან, რომლებზედაც დაუშვებელია რაიმე სატრანსპორტო ან სხვა საშუალებით გადაადგილება.

ერთი ცნობილი მშობლიური სიმღერისა არ იყოს, ქართულ თუ ქართულ-უცხოურ ლექსიკონებში „ვეძებ და ვერსად ვიპოვე“ სიტყვა საფეხმავლო. შულ-

ხან-საბას მიემართე, დავიგ და ნიკო ჩუბინაშვილებს, სხვათა და სხვათა ძეგლთა თუ ახალთა ლექსიკონრაფთა... ამოდ! იმასდა შევაველე თვალი, რომ ამ კომპოზიტში ფიგურირებდა ორი სიტყვა: ფეხი და სვლა (მავალი) ანუ ფეხით სიარული, ფეხით მოსიარულე.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი იშველებს სიტყვა გზასაც – საავტომობილო, საურმე, საცალფეხო (ბილიკი).

რუსულ-ქართულ ლექსიკონებში შემომხვდა სიტყვა пешеход – ფეხით, ქვეითად მოსიარულე, მავალი, ქვეითი. აქვეа пешеходный переход-ის განმარტებაც – ფეხით მოსიარულე, საქვეითო: пешеходный мост– საქვეითო ხიდი; пешеходная тропинка – საქვეითო, საცალფეხო ბილიკი. Ходок – რუსულად ფეხით მოსიარულე, მავალს ნიშნავს. აქედან – пешеходный мост გახლავთ საქვეითო, საცალფეხო ხიდი. ასევე საქვეითო, საცალფეხო გზა, ბილიკი.

ერთი სიტყვით, სახეზეა ორი რუსული სიტყვის უხეროთარგმანი და მათი უგერგილო კომპოზიტად წარმოდგენა.

სწორი ფორმა იქნებოდა – ფეხით, ქვეითად (უტრანსპორტოდ) მავალთა ხიდი (გზა, ბილიკი) და არა საფეხმავლო!

ჩვენი მკურნალი ექიმები ხომ მიწვივ გვირჩევენ – ხშირად იარეთ ფეხით და ჯანმრთელობა გაიკაუთო! ჰოდა, პატივი მივაგოთ ამ კეთილ დამოდვრას – ვიაროთ ფეხით ანუ ქვეითად, ოღონდ ისე, რომ არ დავაავადოთ დედაენა!

● ქართველ და ფრანგ ჭაბუკ მორაგბეთა მატჩის დროს ჩვენმა კომენტატორმა გამოიყენა სიტყვა დაგვაღელვოვეს (ფრანგებმა დაგვაღელვოვესო). ეს სიტყვა ვერ გახდება მშობლიური ლექსიკონის ბინადარი, ვინაიდან იგი აშკარად ხელოვნურია და მიუღებელი. ჯობდა ძველებურად, მარტივად და გასაგებად თქმულიყო – ფრანგებმა ლელო გაავიტანეს!

● 2 ტელეწამყვანი ეკითხება ავტოავარიის თვითმხილველს:

– მანქანა მაღალი სიჩქარით მოძრაობდა?

– მანქანა მაგარი სიჩქარით მიდიოდა!

ასეთი დიალოგისას არც მაღალია სწორი და არც მაგარი. საუკეთესო ვარიანტია დიდი სიჩქარით მოძრაობდა. არცვადაჭარბებული სიჩქარე იქნებოდა ურიგო.

● ჩვენს ზეპირ თუ წერით მეტყველებაში არცთუ იშვიათად გამოიყენება ერთობ ციური სიტყვა კოსმოსური. მას განსაკუთრებით ხშირად მოუხმობენ ხოლმე მეცნიერები, სიტყვაკაზმული მწერლობის მოტრფილენი – პოეტები, ხელოვნებათმცოდნეები... და, რასაკვირველია, ასტრონომები.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე ნაზი ხანიაშვილის მშვენიერი ნაშრომი, რომლის სათაურია „ქართული წელთაღრიცხვა „ქორთ ადამს აქათ“ და „დასაბამითგან“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 10.4.2015 წ., N 14, გვ. 5-6). ფრიად ვისიამოვნე!

ამ ნაშრომმა იმთავ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ მასში თორმეტგზისაა გამოყენებული სიტყვა კოსმიური (კოსმიური – ელემენტი, სურათი, პროცესი, სინთეზი, პერიოდები, სურათები, მხედარი, ცოდნა. აგრეთვე – კოსმიურობა).

ქართველი ლექსიკოლოგები უარყოფენ აღნიშნული სიტყვის ასეთ ორთოგრაფიას ანუ მართლწერას. ამიტომ ჩვენს ლექსიკონებში (განმარტებითი, ორთოგრაფიული, მითოლოგიური, უცხო სიტყვათა...) ვერ ნახათ სიტყვას კოსმიური. ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (გამომცემლობა „განათლება“, 1998 წ.) კი

კატეგორიულად, ხაზგასმით გვაავალდებულებს: „კოსმიური კი არა კოსმოსური“-ო.

ღიახ, უნდა დავეთანხმეთ ამ მართებულ მოთხოვნას და ამიერიდან ვთქვათ ან დავწეროთ – კოსმოსური და არა კოსმიური.

● ჩემს წიგნში „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა – სწორედ თქმისა და წერის კულტურა“ (თბილისი, „მემეცენება“, 2011 წ., გვ. 197-201) გულისტკივილით ვწერდი: „დღევანდელ ქართულში თითქოს სარგეილი გაუფართოვდა და მრავალი სიტყვის სინონიმად იქცა ხედსართავი სახელი მაღალი.

სინამდვილეში კი მან მოქმედების არე დაყვიწროვა უამრავ საჭირო, აუცილებელ, სუტ სიტყვას, მის ნაცვლად რომ უნდა კვებხმარა. შედეგად ამისა კინინდება, ხარაღდება ქართული ენის მდიდარი ლექსიკონური ფონდი, სტილისტური მრავალფეროვნება. ერთი სიტყვით ღარიბდება ენა, ფრთები ეკვეცება მის აღმატებულ შესაძლებლობებს“ (გვ. 197).

სამწუხაროდ, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. მე ზემოთაც დავასახელე ერთი მაგალითი, მაგრამ სიტყვა მაღალი ბევრ სხვა შემთხვევაში გამოიყენება შეუსაბამოდ. მაგალითად, ამბობენ და წერენ მაღალი ფასი, მოლღინი, ინტერესი, სტანდარტი, ზნეობა, ფასიანი დაცვა, ვარაუდი, ყურადღება, ხელფასი, წოდება, ჯილდო, ხმა, ძაბვა, ტემპერატურა, ღირსება, მაღალხარისხოვანი...

ამათ, ხშირ შემთხვევაში, მიესადაგება სიტყვა დიდი, მაგრამ შეიძლება სხვა მეწყვილეც შევუღლიოთ და ენაც გავამრავალფეროვანოთ. მაგალითად: დიდი (ცოცხალი, ცხოველი) ინტერესი; დიდი ძაბვა; დიდი (საუკეთესო, საიმედო) მოლოდინი; დიდი ტემპერატურა; დიდი (პატივი) ღირსება; მაღალი (საუკეთესო, გამორჩეული, დიდებული) სტანდარტი; მაღალი (საუკეთესო, გამორჩეული, დიდებული) სტანდარტი; მაღალი (ამაღლებული, დახვეწილი, მისაბაძი) ზნეობა; მაღალი (ძლიერი, მძლავრი...) ხმა; მაღალი (ძვირი) ფასი; მაღალი (დიდებული, საიმედო) ვარაუდი; მაღალი (დიდი, მნიშვნელოვანი, ღირსეული, ანგარიშგასაწვევი) ყურადღება; მაღალხარისხოვანი, ძვირფასი (საუკეთესო); მაღალი (უხვი, სასურველი, ღირსეული) ხელფასი; მაღალი (ღირსეული, საამაყო) ჯილდო; მაღალი (უფრო დიდი ხარისხის) წოდება; მაღალფასიანი (დიდი ხელფასის მქონე) დაცვა...

● გავრცელებულ კალკებზედაც ვისაუბროთ. განსაკუთრებით მოხშირებულია რუსული კალკები.

რუსებს უყვართ გამოთქმა в курсе, რომელსაც ხშირად წააწყდებით ქართულ საუბარსა თუ წერილობით მასალაში პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით საქმესთან შეწყვილებისას. მაგალითად: საქმის კურსში არა-ვარ; ჩვენი პარტნიორები საქმის კურსში არ არიან; ჩავაყენოთ საქმის კურსში; საქმის კურსში ვარ.

ასეთი შესიტყვება ბუნებრივი არ არის ქართული ენისათვის და სიტყვასიტყვით არც უნდა გადმოვიღოთ რუსულიდან. თარგმანით კი ასე ვთარგმნოთ:

საქმის კურსში არა ვარ – არ ვიცი საქმის ვითარება, არ ვიცნობ საქმის ვითარებას, ჩემთვის უცნობია საქმის ვითარება (გარემოება, შინაარსი, მდგომარეობა).

საქმის კურსში არ არიან – არ იცნობენ საქმის ვითარებას; მათთვის უცნობია საქმის ვითარება, შინაარსი. ჩავაყენოთ საქმის კურსში – გაგაცნოთ, გაგაგებინოთ, ავუხსნათ საქმის ვითარება.

საქმის კურსში ვარ – ვიცი საქმის ვითარება, ჩემთვის ცნობილია საქმის ვითარება.

ასევე კალკია რუსული შესატყვისება имеет место – ადგილი აქვს და წინადადებაში ასე გამოითქმება: ადგილი აქვს გაუგებრობას; ადგილი არ ჰქონია დარღვევას არჩევნების დროს; ზეწოლას ადგილი ჰქონდა; ადგილი არ ჰქონია კანონის დარღვევას; ცეხლის გავრცელებას ადგილი არ ექნება...

სწორი ფორმები კი იქნებოდა: მოხდა გაუგებრობა, არ დარღვეულა (არ მომხდარა დარღვევა); მოხდა, განხორციელდა ზეწოლა; კანონი არ დარღვეულა; ცეცხლი არ გავრცელდებოდა...

● რიგ შემთხვევაში ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ არის უარყოფითი ნაწილაკი „არა“. ამიტომ იგი უნდა უარყოფით ასეთ შემთხვევებში: არაგაყენული კი არა – გაუყენა; არადაამახინჯებული კი არა – დაუმახინჯებელი; არაკანონიერი კი არა – უკანონო; არამართებული კი არა – უმართებულო; არამომგებიანი კი არა – წამგებიანი; არასამართლიანად კი არა – უსამართლოდ...

● მსგავსი შემთხვევები გვაქვს სიტყვასთან გარეშე. მაგალითად, გარეშე გარეშეც უკეთესად და თანაც ერთი სიტყვით წარმოითქმება სათქმელი. ასე მაგალითად: შეფერხების გარეშე რომ იტყვიან, შეუფერხებლად უკეთესი არ არის? ან ბილეთების გარეშე – უბილეთოდ; იარაღის გარეშე – უიარაღოდ; ტექსტის გარეშე – უტექსტოდ; სამსახურის გარეშე – უსამსახუროდ; ძილის გარეშე – დაუძინებლად, უძილოდ და ა.შ.

● სამი უცხო სიტყვა არცთუ იშვიათად მახინჯდება ან არასწორად ესმით არცოდნის გამო. ვინაიდან ელექტრონთან გვაქვს საქმე, ჰგონიათ, რომ სწორია ტერმინი ელექტროფიკაცია; კინოსთან დაკავშირებით კი გვარწმუნებენ ტერმინ კინომატოგრაფიის უტყუარობაში; რაც შეეხება კინოლოგს, მასაც კინოსთან აკავშირებენ.

სწორი ფორმები: ელექტროფიკაცია და კინემატოგრაფია; კინოლოგის კი არავითარი კავშირი არა აქვს კინემატოგრაფიასთან და წარმოადგენს მეცნიერებას ძილების, მათი შეჯვარებისა და მოვლის შესახებ. მეცნიერების ამ დარგს მემაღლეობასაც ეძახიან.

რას გვასწავლის „ქართული ენის ორთობრაფიული ლექსიკონი“

ჩაავლებს კი არა ჩაატარებს, ჩაამწყვრევს – ჩაამწყვდევს, ჩააბნევს – ჩააბნებს, ჩაარჩობს – ჩაახრჩობს, ჩაახვამს – ჩაახსობს, ჩაასწრობს – ჩაასწორებს, ჩაატყუებს – ჩაატანს, ჩააცვამს – ჩააცმევს, ჩააწობს – ჩააწებს, ჩაახწევს – ჩაადწევს, ჩააჯენს – ჩაახვამს, ჩააჯინდება – ჩააუინდება, ჩააბღერტა – ჩააბერტყა, ჩაეკრო-



ბა – ჩაეკეროება, ჩაემწვერევა – ჩაემწვედევა, ჩაესახლება – ჩასახლება, ჩავაჯენ – ჩავსვამ, ჩაიარს – ჩაივლის, ჩაკონვა – ჩაკონება, ჩაღანდარი – ჩაღვადარი, ჩამოღვომილი – ჩამომღვარი, ჩამოიარს – ჩამოივლის, ჩამოსქდება – ჩამოსკდება, ჩანგური – ჩონგური, ჩანთქამს – ჩანთქავს, ჩარჩობა – ჩარჩენა, ჩარჭმული – ჩარჭობილი, ჩასათვალი – ჩასასვლელი, ჩასაკვნიტავი – ჩასაკვნიტი, ჩასაფრული – ჩასაფრებული, ჩასისხლებული – ჩასისხლიანებული, ჩატნეული – ჩატანებული, ჩაუსწრობს – ჩაუსწორებს, ჩაუფურჩულებს – ჩაუწურჩულებს, ჩაუცვინდება – ჩაუცვივდება, ჩაფლობილი – ჩაფლული, ჩაფსკენილი – ჩასკენილი, ჩაფუფქვილი – ჩაფუფქული, ჩაფუშვილი – ჩაფუშული, ჩაქსოვებული – ჩაქსოვილი, ჩაფუქვილი – ჩაქუფრული, ჩინჩახვი – ჩინახვი, ჩრდილოეთელი – ჩრდილოელი, ჩრდილოეთური – ჩრდილოური, ჩუქნის – აჩუქებს.

თუ არ მიწყნთ, პატივცემულო მკითხველებო, ერთ მცირე ზომის საშინაო დავალებას შემოგთავაზებთ. გა-

მოიცანით, ჩამოწერილი დაწვეილებული სიტყვებიდან, რომელია სწორი, სწორ სიტყვას ქვეშ ხაზი გაუსვით და, როცა დროს გამონახავთ, გადაამოწმეთ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. მაშ, ასე:

როგელია სწორი?

ხაბურზაკი – საზამთრო, ხაღვა – ჰაღვა, ხანდისხან – ხანჯარი – ხანჯალი, ხაოსი – ქაოსი, ხარაკირი – ჰარაკირი, ხელსაქმარი – ხელსაქმე, ხელმისაწვდენი – ხელმისაწვდომი, ხელმწიფე – ხელმწიფე, ხენს – ხეხს, ხვირჯინი – ხურჯინი, კიდე – ხიდი, ხიდები – ხიდები, ხიზილალა – ხიზალალა, ხირომანტი – ქირომანტი, ხირომანტია – ქირომანტია, ხირხიმალი – ხერხემალი, ხლაფვა – ხლართვა, ხოკეი – ჰოკეი, ხოლერა – ქოლერა, ხოლერიანი – ქოლერიანი, ხოლეცისტიტი – ქოლეცისტიტი, ხოლი – ჰოლი, ხორალი – ქორალი, ხორო – ქორო, ხუთმეტიოდე – თხუთმეტიოდე.

რეზიუმე

ენას ბიწუნებ, ქართველო! ებრე არა! მაშ როგორ?

გივი ბოჯგუა

(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

წარმოდგენილ მასალებში ძირითადად თავმოყრილია საზოგადოების მიერ ხშირად დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომები. მითითებულია მათი გამოსწორების საშუალებანი ქართული ენის სიწმინდის დასაცავად.

SUMMARY

**“I REJECT THE LANGUAGE YOU SPEAK, GEORGIAN!”
“NOT LIKE THIS! BUT HOW THEN?”**

GIVI BOJGUA

(Georgian Academy of humanitarian and artificial science)

In presented topics, there are gathered the most frequent orthographic mistakes that our society makes. Instructions for improving these mistakes, to protect the purity of Georgian language, are also mentioned.

**2014 წლის შუბნალი „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“
შემჩნეული შეცდომების გასწორება**

გვერდი	სვეტი	სტრიქონი	არის	უნდა იყოს
42	I	3 ზ.	300	3000
42	I	7 ზ.	კაიფობს	კიაფობს
42	I	13-14 ზ.	“უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქართული ენა!”	“უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქართული ენა!”
42	II	1 ზ.	კუთრებული	კუთრებით
42	II	5-6 ზ.	დიდი/მავნე – გ.ბ/გავლენა მოახდინა	დიდი/მავნე – გ.ბ/გავლენა მოახდინა
42	II	23-24 ზ.	ტერმინოლოგიური = ლექსიკური	თერმინოლოგიური = ლექსიკური
42	II	29 ზ.	კაკრიაშვილი, 15.18. IV, 2014წ.	კაკრიაშვილი, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, N15, 18.IV. 2014წ, გვ.2.
42	II	26 ქვ.	დებისა	დებასა
42	II	27 ქვ.	ჩვენთაგანი	ჩვენგანი
42	II	6 ქვ.	რა ემა	რა ენა
42	III	2 ზ.	ჩვენთაგანმა	ჩვენგანმა
42	III	21 ქვ.	მოსავლე	მოსწავლე
42	III	1 ქვ.	შეეთებაა, აჯიოტაჯი	შეერთებაა, აჯიოტაჯი
43	I	12 ზ.	ქართლად	ქართულად
43	I	21 ქვ.	ამორჩეულია	ამომჩვეულია

„ფიცის კაცები“

ლემსანაძე (ალექო) მითაბერიძე
(თბილისი, საქართველო)

„წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო აზნაურსა ჰქონდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმავრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნეები, და ძაღედვა გამოსვლა მარქაფათა, კარვითა და მათითა განწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად.“

მახუშტი

1073 წელს გეგუთის სასახლეში დაიბადა ყრმა, რომელსაც მადლიერი ქართველი ხალხი შემდგომ შეამკობს უმშვენიერესი სახელით „აღმაშენებელი“. ხოლო საქართველოს კი ამ დროისათვის მთლად დაშრეტოდა სიცოცხლის ნიშანი. თურქების გამუდმებული შემოსევებისაგან აკლუბული და დაშინებული ხალხი ციხეებში, ტყე-მადნარებსა და ხევსუბებში შეკეტილიყო. არავინ ხნავდა და თესავდა, მეურნეობა მთლად მოშლილიყო. ქვეყანა მთიდან დაქანებული ზევივით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. და სწორედ რომ დროზე, მეფე გიორგი II-მ საქართველოს სამეფო გვირგვინი მის თექვსმეტი წლის შვილს – დავითს დაადგა თავზე.

იღვა 1089 წელი. ჭაბუკი მეფე ამოქმედდა. თავისთან მოუწოდა ყველას, ვისაც ჯერ კიდევ გული მთლად არ გასციებოდა.

მეფე დავით აღმაშენებელი – საქართველოს ერთიანობისათვის თავგანწირული მუხლჩაუხრელი ბრძოლა, ბრძოლა მამულისათვის, საქართველოს „სრულობისათვის“. მეფე დავით აღმაშენებელი – „სული აღმაშენებელი“ – და საქართველოს ერთიანობის მარადიული იდეა. „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“ გარშემო იკრებს პატრიოტ ქართველობას. ქვეყნის ყოველი კუთხე-კუთქულიდან ზვირთივით დაძრული მამულისათვის მშფოთვარე ერი, ამერ-იმერი, „ქვემონი და ზემონი“. შფოთვენი და დრტვინვენი გმირი ქართლოსიანნი: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“.

და, მეფის ირგვლივ შეკრებილ პატრიოტ აზნაურთა შორის იშვა იდეა, მამულისადმი ერთგულება „შეკერთ“ და განემტკიცებინათ უმკაცრესი დაფიცებით ღვთისა და ერის წინაშე, რომ მარად უერთგულებდნენ მეფეს, ქვეყანასა და სარწმუნოებას, რომ ამ ფიცის დამრღვევს თავადვე აგებინებდნენ პასუხს ვაჟკაცური წესის მიხედვით და არც ერთმანეთს თავს დააჩაგრებინებდნენ ვინმეს.

ამ დაფიცებაში მონაწილეობდნენ როგორც ამერი, ისე იმერი აზნაურები, რომელთაც „შეფიცულები“ ეწოდათ. დიდად უერთგულეს შეფიცულებმა ქვეყანას და დავით მეფეს (შემდგომ მეფეებსაც), ქართულ მახვილსა და საბრძოლო ხელოვნებას სახელი გაუთქვეს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ უფრო შორსაც. მაგრამ მას შემდეგ, რაც მონღოლებმა ფეხი მოიკიდეს საქართველოს აღმოსავლეთში (სხვათა შორის, დალატითა და გაცემით!), სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ქართულს და პირველ რიგში „შეფიცულებს“, მონღოლების ბატონობის დასასრულს აქ შეფიცულთაგან აღარავინ დარჩა, ხოლო დასავლეთში, სადაც მონღოლებმა ფეხი ვერ შეადგეს, შენარჩუნებული იქნა შეფიცულთა ნაწილი – 12 გვარი და მათ ხალხს სიყვარულით „ფიცის კაცება“ უწოდებდა. „ფიცის კაცებმაც“ ბოლომდე უერთგულეს დადებულ ფიცს, მეფეს, მამულს და სარწმუნოებას დევიზით: „ვინცა მოკუდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან!“.

„ფიცის კაცთა“ საცხოვრებელს აღმოსავლეთით საზღვრავდა სოფლები: სიმონეთი, ქვაშავა, ნავენახევი, ძვერული ანუ ძვერი, ჩხარი და ნაქერალას მთა; დასავლეთით, ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი – ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი, ვიდრე რაჭის საზღვრამდის.

ამ საზღვრებს შიგნით ისეთი მიუდგომელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურმით შესვლაც კი არ შეიძლებოდა. ადგილები იყო მთავორა და კლდოვანი, გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურეშევი.

იმერეთში, წყალტუბოს რაიონში, სოფელ გურეშევის მახლობლად გაშლილ მინდორზე, ძველად ლეკურწას რომ ეძახდნენ, დგას ტოტეზგაშლილი, ფესვმაგარი ბებერი მუხა,



რომელიც არაერთხელ გამხდარა ფიცის კაცთა თავრილობის ალაგი. ფიცის კაცები კი, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ, მაისის (15) დღით, ამ მუხის ქვეშ იყრიდნენ თავს თავიანთი ყმებით, სამღვდლოებით, ხატით და ჯვრით და კიდევ ერთხელ იმეორებდნენ წინა წელს დადებულ ფიცს: „ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა; ვიყო მტერი მათი მტრისა და მოყვარე მოყვარისა; ვიყო ერთგული ჩემი ოჯახისა; ვიყო მტერი ჩემი ოჯახის მტრისა და და მოყვარე მოყვარისა!“

ბატონი რომ ამ ფიცს მოილევდა, ყმები რიგრიგობით ეახლებოდნენ, ხელებზე ხელებს და უწყობდნენ და იტყოდნენ: ჩვენი ბატონი მართლად ფიცს ბრძანებს, ამ პირჯვრის მადლმანო, – და წამსვე პირჯვარს გამოისახავდნენ.

სანამ ფიცი და ზენაარი მიდიოდა, მანამ მზარეულნი, ხაზაზნი და მწდენი სანადიმო სუფრას აწყობდნენ ჭამა-სმის „ყოველივე სამკაულით“.

მიუსხდებოდნენ სუფრას ნაფიცარნი.

პირველი საწესო სადღეგრძელო ყოველთვის ეს იყო:

„დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცსა!“

მერე მიდიოდა სმა, შაირი, სახუმარო სიტყვის გორება, ცეკვა, სიმღერა, თოფ-დამბანის სროლა ყაბახზე.

არცრა უღირსი საქციელი, არც უზომო თრობა, არც ჭინჭკელი და უგვანი აყალმაცალი, არც უთმინარი პირში ჩახტომა და უსმინარი ჭირვეულობა.

ყოველ დღით ყაბახზე სროლა, ყოველ საღამოს ჯირითი.

პირველ ყაბახს, ბრტყელად გაჭედილ ვერცხლს მეფე უზაგნიდა ფიცის კაცებს.

ყოველი ოჯახიდან ყაბახად ცალკე ვერცხლის ნივთი მოჰქონდათ – ახარფეშა, თასი, სასმურნი, იარაღნი და მისთანანი. ყველა ეს ნივთი ყაბახის სვეტის ქვეშ გროვდებოდა.

ჯერ მეფის გამოგზავნილს დასდებდნენ სამიზნედ. იმას რომ ჩამოაგდებდნენ, მერე ქაშანურს აღმართავდნენ და იმის წილობაზე ვერცხლის რომელიმე ნივთს ჩაუთქვამდნენ, ვინც ყაბახ-ქაშანურს ჩამოაგდებდა, ჩათქმულ ვერცხლსაც ის დაინარჩუნებდა.

და ასე ორი კვირა გრძელდებოდა ღხინი და შექცევა ლეკურწას მინდორზე...

მეფეს ერთგულობდნენ და მეფისგან დიდი უფლებებიც მიეღოთ ფიცის კაცებს. ასე გასინჯეთ, მეფისგან სიკვდილმისჯილი კაცი თუ გაქცევას მოასწრებდა და ფიცის კაცის საყმოს საზღვარში შეასწრებდა, მღევარს ნება აღარ ჰქონდა, შეჰყოლოდა და ფიცის კაცის ნებართვის გარეშე უკანვე გამოეყვანა. უკეთუ ის ლტოლვილი კაცი მეფისა და ქვეყნის მოღალატე არ იყო, სხვა დანაშაულის პატიებისათვის თავს გამოიდებდნენ ფიცის კაცნი. ისინი შეიკრიბებოდნენ, ქუთათისის „ქუეყანაში“ შევიდოდნენ და მეფეს შეუთვლიდნენ: ვინაითგან ამა და ამ კაცს შენი და შენი ქვეყნის დაღალტი გულის არ გაუვლია, სხვა მისი შეცოდებანი ჩვენ გვაპატივე და ეს კაცი დაუსჯელი გაუშვიო. და არ ყოფილა შემთხვევა, მეფეს რომ ფიცის კაცთა შუამდგომლობა გაეწილებინოს.



„ფიცის კაცთა“ საბრძოლო დროშა. ინახებოდა როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში. მოძიებული და განახლებული იქნა ჩემ მიერ.

დიდი და საიმედო ძალა იყო მეფისთვის ფიცის კაცნი. ამათგან მერმრად მარტლ თავადი და აზნაური ათასი ცხენოსანი გამოდიოდა, ათჯერ მეტი კიდევ მათი ყმანი. ქვეითი მეომარნი.

ბრძალაში ერთად შედიოდნენ ფიცის კაცნი, ერთად, მხარმიბრჯნით უტევდნენ მტერს.

დაჭრილს და მკვდარს ცოცხალის თავით მოსისხლეს არ დაანებებდნენ.

შიშრეულად და ხელგამოუღებლად მოკლულს დაუმარხავად და აგდებდნენ, ფრინველთა და მხეცთა არჩივად.

ცოცხლად დარჩენილ ლაჩარს ოჯახიანად აპყრიდნენ და გააძევიდნენ. მის მიწა-წყალს თვითონვე შეისყიდნენ ფიცის კაცნი, ნაწილ-ნაწილად...

ფიცის კაცებში თორმეტი გვარი შედიოდა თავისი ყმით და მამულებით:

ლორთქიფანიძე – ახალბედისეულიდან

მესხი – დედალაურიდან

ავალიანი – ცხუნკურიდან

იოსელიანი – გვიშტიბიდან

მიქაბერიძე – წყალტუბოდან

ლოლობერიძე – ჩუენშიდან

ეიფიანი – ქვილიშორიდან

ქორქაშვილი – გუმათიდან

იაშვილი – ჯიმასტაროდან

ოფურსხეთიდან

გრიგოლაშვილი – ნამახვანიდან

ჭაბუკიანი – „რიონიდან“ (ამონარიდი ლეგან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“-დან).

დიახ, წმიდათაწმიდა იყო ქვეყნის ერთგულ კაცთა მიერ დადებული ეს ფიცი და აკი იმიტომაც დაერქვათ ფიცის დამდებლებს „ფიცის კაცნი“, რომელთაც სწამდათ, რომ, თუ ქვეყანას დასჭირდებოდა, უშურველად გაიდებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთსაც კი.

და როდესაც იმერთა მეფე სოლომონ პირველმა გადაწყვიტა ოსმალთა ბატონობისაგან საბოლოოდ გაეწმინდა იმერეთი, ქუთაისის ციხის აღება ფიცის კაცებს დაავალა და უბრძანა: „ შემოჰკარით ქუთაისის ციხეს, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალების ჯარი, არავინ გამოუშვათ!“, რფასაც ქუთაისის განთავისუფლება მოჰყვა. ვინ იცის მანმადე დამ ას შემდეგ კიდევ რამდენჯერ გამოადგა მამულს ფიცის კაცების მამულიშვილური შემართება, ხმლის ეღვარება და სიკაცასე.

და როდესაც იმერთა მეფე სოლომონ პირველმა გადაწყვიტა ოსმალთა ბატონობისაგან საბოლოოდ გაეწმინდა იმერეთი, ქუთაისის ციხის აღება ფიცის კაცებს დაავალა და უბრძანა: „ შემოჰკარით ქუთაისის ციხეს, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალების ჯარი, არავინ გამოუშვათ!“, რფასაც ქუთაისის განთავისუფლება მოჰყვა. ვინ იცის მანმადე დამ ას შემდეგ კიდევ რამდენჯერ გამოადგა მამულს ფიცის კაცების მამულიშვილური შემართება, ხმლის ეღვარება და სიკაცასე.

1790 წლის 25 ივლისი.

ტფილისის იმერეთთა ელჩობა ეწვია. ეპისკოპოსი ექვთიმე გენათე-

ლი, ეპისკოპოსი დოსითეოს ქუთათელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი – ლორთქიფანიძე, მესხი, ავალიანი, ლოლობერიძე, მიქაბერიძე, ეიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი.

იმერელი დესპანნი მეფე ერეკლეს წარუდგნენ და მოახსენეს:

„ჩვენი სურვილია, იმერეთი ქართლ-კახეთს შეუერთდეს. იგივე სურთ გურიის და სამეგრელოს მთავრებს; უნდა აღდგეს ოდინდელი ერთიანობა სრულიად საქართველოსა, რომელსაც უხელმწიფებს ერთი მეფე, ვითარცა იყო ერთმეფობის დროთა, ხოლო ასეთი მეფე ერთიანი საქართველოსი უნდა იქნეს ერეკლე, სახელოვანი ხელმწიფე. მთელი დასავლეთ ქართველობა დიდი სიქადულითა და სიხარულით მოეღის საქმისა ამის დასასრულსა. მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა.“

იმერთა მხრიდან ქაიხოსრო წერეთელი ლაპარაკობდა:

„ბატონო მეფე, შეისმინე ჩვენი თხოვნა და მიიღეთ მეფობა იმერეთისა. დაე იყოს ერთობა მარადისი ქართლ-კახელთა, იმერეთთა და ყოველ ქართველთა შორის. ხოლო უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა ჩვენთა, შეუდგება უწესობა საქართლსა, სავნო რამ შეიქმნება ქართლისათვის და მეფობისა თქვენი სათვის, – მაშინ დაუტკვევთ მეფობა იმერეთისა, მაშინ უბოძეთ თქვენის ნებით მას სხვა ხელმწიფე. ახლა კი სცადეთ, ნუღარ ყოვნით მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენი და განგვაძლიერეთ თქვენი!“

„განძლიერდით ჩვენი და განგვაძლიერეთ თქვენი“ – ჩამოირბინა დარბაზი ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა. ამადლებული სული ზეიმობდა იმ დროს მეფის სასახლეში. არნახული განცდა ქართველთა ერთიანობისა გამოავლინა იმერეთის დედეგაციამ და ფიცის კაცებმა. ეს იყო დიდი ქუჯი ერისთავისა და ივანე მარუშიძის, გიორგი ჭყონდიდელის მსგავსი განცდა საქართველოს მთლიანობისა.

საარაკოა მათი თავდადება და ქვეყნის ერთიანობის ღრმა განცდა, რომლის მსგავსი მაგალითები ბევ-

რი არ მოიძებნება არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც კი.

ასე ესმოდათ ქართველ რაინდთა „ორდენის“ წევრებს ფიცის კაცებს ქვეყნის ერთგულება და სიყვარული. ასე იცოდნენ ფიცის კაცებმა სიმამაცისა და ვაჟკაცობის ფასი. ასე უყვარდათ ფიცის კაცებს ერთურთი ნაღდი, კაცური, ქართველური, „ფიცით დათქმული“ სიყვარულით.

ასე ესმოდათ ფიცის კაცებს სიყვარული მიწისა და ცისა.

სჭირდებოდა (და ახლაც სჭირდება!) და მერე როგორ სჭირდებოდა სამშობლოს მათი ნაფიცობაც და კაცობაც! მერედა როგორ ნაფლეთობად ქვეყლიყო მათი საფიცური საქართველო!

კურთხეულ იყოს გამოძახილი რაინდების, რომელიც უკვე დიდი ხანია გვაფხიზლებს და აღგვანთებს ღვთიურკურთხეული საქართველოს ერთგულებით და სიყვარულით.

„ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა!“ – შორეული წარსულიდან გუგუნებენ ფიცის კაცები!

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება
2. ივანე ჯავახიშვილი. „საქართველოს ისტორია“
3. აკაკი წერეთელი. ტ. 8, 1958 წ., გვ. 309, 317, 318, 372
4. ლევან სანიკიძე. „უქარქაშო ხმლები“, ტ. IV
5. პლატონ იოსელიანი. „ცხოვრება გიორგი XIII“ ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა, 1915 წ., დამატება, გვ. 5
6. აკაკი ბელიაშვილი. „ოქროს ჩარდახი“

რეზიუმე

ფიცის კაცები

ლემსანდრე (ალექო) მიტაბერიძე
(თბილისი, საქართველო)

დამახასიათებლად ესმოდათ ქართველ რაინდთა „ორდენის“ წევრებს ფიცის კაცებს ქვეყნის ერთგულება და სიყვარული. იცოდნენ ფიცის კაცებმა სიმამაცისა და ვაჟკაცობის ფასი. უყვარდათ ფიცის კაცებს ერთურთი ნაღდი, კაცური, ქართველური, „ფიცით დათქმული“ სიყვარულით.

ასე ესმოდათ ფიცის კაცებს სიყვარული მიწისა და ცისა.

„ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა!“ – შორეული წარსულიდან გუგუნებენ ფიცის კაცები!

SUMMARY

“MEN OF HONOR”

ALEQSANDRE MIQABERIDZE
(Tbilisi, Georgia)

Loyalty and love of the country was typical for Georgian knights – for the “men of honor”. They knew the value of fortitude and courage, loved each other with pure, Georgian, “sworn” love.

That is how the “Men of honor” understood the love of the land and the sky.

“Let me be devoted to the king and the land!” – buzzing “Men of honor” from the distant past.

ალამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიბიენისა და სანოლოგიის მეცნიერულ-პრაქტიკული კოორდინაციიდან

იბ. დოლიძე, ბ. ჩახუნაშვილი
(თბილისი, საქართველო)

ორგანული სამყაროს ევოლუციის პროცესში წარმოიშვა ალამიანის ფუნქციონირება, რომელიც გახდა მრავალმეცნიერებათა (ბიოლოგიის, გენეტიკის, ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პედაგოგიის, მედიცინის და ა.შ.) დარგის კვლევის საგანი, მაგრამ დღემდე პასუხგაუცემელია მრავალი შეკითხვა, რომელიც ეხება მისი პიროვნული თვითშეგნების არსს, ყოფითი ცხოვრების სრულყოფილ შემეცნებას და, რაც მთავარია მისი სიცოცხლისა და ცხოველმოქმედების ფუნქციონირების მხარეს, როგორ

რიცაა ჯანმრთელობა. ამასისიციმბრება, რომ უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის შენარჩუნების იდეამ განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო იმის გამო, რომ მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე და ამავე დროსის განიცდის გაუარესების მზარდ ტენდენციას. აქედან, დიდი სარწმუნოებით გასაგები ხდება, რომ „უკანდაბრუნების“ პრინციპი, ე.ი. დაავადებიდან ჯანმრთელობის მიღწევა – არასწორი და დამღუპველი მიდგომაა. სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ დღემდე სრულყოფილად არ შემუ-

შავებულა ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების მეცნიერული მეთოდოლოგია. აქ, გასაკვირიც არაფერია, რადგან უკანასკნელ დრომდე, როგორც პარადოქსალურად არ უნდა ქვედრდეს, არ არსებობდა თვით მეცნიერება ჯანმრთელობაზე (1,2,3,4,5,6).

კლასიკური მედიცინა, ძირითადად ში დაკავებულია დაავადებათა პრობლემებით დანაკლებად მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებით. ამ მცდარ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას 2000 წელს საფუძვლიანი მტკიცე-

ბულებით გამოეხმაურა პროფესორი გენადი აპანასენკო შემდეგნაირად: “თუ ჩვენ გვინდა განვავითაროთ კოსმოსური ტექნიკა, ჩვენ უნდა განვავითაროთ რაკეტომშენებლობა, თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ რძე და ხორცი, ჩვენ უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, თუ ჩვენ გვინდა გვკავდეს ჯანმრთელი ადამიანი, ჩვენ უნდა დავკავდეთ ჯანმრთელობის შესწავლით, ხოლო მედიცინა კი მთლიანობაში დაკავებულია დაავადებით. ჩვენ, უფრო და უფრო მეტი ვიცით დაავადებების შესახებ, ჩვენ უფრო და უფრო მეტად ვვლენთ ავადმყოფ ადამიანებს, სულ უფრო და უფრო მეტად ვიგონებთ და ვქმნით ახალ სამკურნალო პრეპარატებს და ამ სტრატეგიის განხორციელებას საბოლოოდ მივუვაართინებთ”.

კლასიკურმა (სახელმწიფოებრივმა) მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღწია უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროში, უძღური აღმოჩნდა ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის საკითხში. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა. „ჯანდაცვა“ კი არასდროს ყოფილა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზაციად, ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებები ადრეც და დღესაც უპირატესად მოიაზრება კლინიკური მედიცინის მართვის ქვესტრუქტურად. დღემდე, ქვეყნის მთავრობამ ვერ შეაფასა მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის.

დღეს კაცობრიობა დგას „მესამე ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის“ ზღვრულზე, რომლის არსი მდგომარეობს ინდივიდის ჯანმრთელობის მართვაში, ცოცხალი სისტემის მარეგულირებელი მექანიზმების განმტკიცებისა და პარმონიზაციაში. ახალი სტრატეგიის საფუძველი მედიცინაში კი – სანოლოგიაა (სამედიცინო ვალეოლოგია), მისი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები. ის წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ინდივიდუალური ჯანმრთელობის არსს, მისი შენარჩუნების მექანიზმებსა და გამოვლინებებს, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდებს, და აგრეთვე კორექციის გზით გაჯანსაღების მექანიზმების ოპტიმიზაციას, ინდივიდის სიცოცხლის ხარისხსა და სოციალურ ადაპტაცი-

ას.

თანამედროვე მედიცინის სტრუქტურა ძირითადადში წარმოდგენილია თეორიულ-პრაქტიკული განათლებით, როგორცაა: სწავლება დაავადებაზე (პათოლოგიაზე), სწავლება ჯანმრთელობაზე (სანოლოგიაზე) და სწავლება ცხოვრების ჯანმრთელ გარემოზე (ჰიგიენაზე). ამ სამი მეცნიერების (მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის) დარგობრივი განმასხვავებელი ნიშნები მოცემულია № 1 ცხრილში. როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს სანოლოგია პრინციპულად განსხვავდება მედიცინისაგან და ჰიგიენისაგან, რომლის სწავლებაში ძირითად ადგილს იკავებს ადამიანის ჯანმრთელობა. არსებული განსხვავებები იმაში მდგომარეობს, რომ სანოლოგიის სფერო დაინტერესებულია ჯანმრთელობითა და ჯანმრთელი ადამიანით, მაშინ, როცა მედიცინა დაავადებითა და ავადმყოფი ადამიანით, ხოლო ჰიგიენა – ადამიანის ყოფითი გარემოსა და მისი ცხოველმოქმედების პირობებით. აქედან გამომდინარე, დარგთაშორის არსებული განსხვავებები ძირითადად განაპირობებს მეცნიერული კვლევის სხვადასხვა მიდგომების გამოყენებას, მიზნობრივითა და მეთოდების შერჩევას, მიზნებისა და ამოცანების დახვეწას, თუ რატომ უნდა აიღოს სანოლოგიამ სოკრატესა („ადამიანო, შეიცან თავი შენი“) და ევრიპიდეს („თუ კაცი თავის ჯანმრთელობას თვითონ-

ვე მიხედავს, უკეთეს ექიმს ვერ ნახავს“) ძირითადი ცნებების პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირებისა და მისი შენარჩუნების მიზნით.

დღეს, თანამედროვე მედიცინა-პათოცენტრული და ნოზოცენტრული მიმართულებისაა, რაც დაავადებების მედიცინის სახით არის წარმოდგენილი. ჩვენ არ გაგვანია მედიცინა, რომელიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისათვის, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის (ვალეოცენტრული მედიცინა), ჩვენ ვმკურნალობთ დაავადებებს და მოსახლეობაში არ ვნერგავთ ჯანმრთელობის შენარჩუნების პრინციპებს, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრაქტიკული განხორციელების დებულებებს. თანამედროვე ექიმი ნაკლებად ფლობს ჯანმრთელობის კანონებს, ასე თუ ისე გათვითცნობიერებულია დაავადების კანონებში (ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოზი). აქ საყურადღებოა ერთი მოსაზრება: როცა იწვეის სახლი-ის საჭიროებს ჩაქრობას. ექიმები ჯერჯერობით მეხანგრეობად გვევლინება და არა არქიტექტორების-ჯანმრთელობის მშენებლების როლში.

დღეს მრავალი სპეციალისტებისათვის, მათ შორის ექიმებისათვის, მარტივად, ბოლომდე არ არის გააზრებული შედარებით ახალი მეცნიერების – ვალეოლოგიის (სანო-

ცხრილი №1

ადამიანის ჯანმრთელობის კვლევის მეცნიერებათა განსხვავებული მიდგომების ურთიერთშედარება

მეცნიერების განმასხვავებელი ნიშნები	მედიცინა (კლინიკური, პროფილაქტიკური, თეორიული, ექსპერიმენტული)	ჰიგიენა (ზოგადი, კომუნალური რადაციული, კვების, შრომის, მოზარდის)	სანოლოგია (სამედიცინო მიმართულების ვალეოლოგია)
მეცნიერების ძირითადი მიმართულებები	ადამიანის გადარჩენა დაავადებებისაგან, მათი დიაგნოსტიკა, მკურნალობა და აცილება	ადამიანის ცხოველმოქმედებისა და მისი გარემომცველი გარემოს ჯანსაღი პირობების კვლევა და შენარჩუნება	ადამიანის ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირება, შენარჩუნება და მისი განმტკიცება
ძირითადი კონცეფცია, დოქტრინა	ადამიანი და მისი დაავადებები	ადამიანის ცხოველმოქმედებისა და ყოფითი გარემოს ოპტიმალური პირობები	ადამიანი და მისი ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი
შესწავლის ობიექტი	ადამიანი, დაავადებისა და მისი მდგრადი	ადამიანის საცხოვრებელი გარემო და ცხოველმოქმედების პირობები	პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანი
კვლევის საგანი	ადამიანის დაავადებები, მათი მიზეზები და განვითარების მექანიზმები; დიაგნოსტიკა, მკურნალობა და დაავადებათა პროფილაქტიკა	ადამიანის ცხოველმოქმედებისათვის ჯანსაღი პირობების შექმნა და მისი ყოფითი გარემოს ოპტიმალური დახასიათებები	ადამიანის ჯანმრთელობა და მისი რეზერვები; მათი შეფასება, ადამიანის ფუნქციური შესაძლებლობების განვითარება და გამაგრება
კვლევის მეთოდები	ადამიანის დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და აცილების მეთოდები	ჯანმრთელობისათვის საჭირო გარემოსა და ცხოველმოქმედებისათვის ოპტიმალური პირობების კვლევის, შექმნისა და შენარჩუნების მეთოდები	ჯანმრთელობის რეზერვების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ნორმდანი დაქვეითების ან გადახრების კორექციის მეთოდები
მიზნებისა და შედეგების მონიტორინგის გზები	მოსახლეობის ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირება	მოსახლეობის ავადობის, ტრავმატიზმისა და ინვალიდობის შემცირება	ჯანმრთელობის გამაგრებიდან მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება

ლოგიის) მასშტაბურობა. საჭიროა შემუშავდეს არამართო ჯანმრთელობის თეორია, არამედ უნდა გავიაროთ არსებითი გზა თეორიულ პრაქტიკამდე. უკანასკნელ წლებში ჩვენს პლანეტაზე განვითარებული კატაკლიზმები, გვარწმუნებს ცივილიზაციის თვითმკვლელობის აცილების ჭეშმარიტებაში და ნებისმიერი ადამიანის საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნების პასიური მოქმედებიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის აუცილებლობაში. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნებისმიერი ახალი მეცნიერების დამკვიდრების პროცესს თან ახლავს სხვა მეცნიერებათა დარგებს შორის გარკვეული შინაარსის კამათი მისი სამეცნიერო ადგილის დაკავების თაობაზე. ამას ვალეოლოგიაც ვერ გაექცა. სამეცნიერო დარგებს შორის ყველაზე ხშირად ვალეოლოგიას აიგივებენ ჰიგიენასთან, რაც არაკომპენტურ ცოდნის მახვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიგიენური კვლევის ობიექტს წარმოადგენს არა კონკრეტული ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ გარეთა გარემოს პირობები. ჰიგიენა დაკავებული არ არის ჯანმრთელობის კრიტერიუმების შემუშავებით ან ჯანმრთელობის რეზერვების ფორმირებით, არამედ შეისწავლის გარეთა გარემო ფაქტორების ზემოქმედებას ორგანიზმზე და შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს ცხოვრებისა და შრომის პირობების ნორმირებისა და გაჯანსაღებისათვის. ჰიგიენა პროფილაქტიკური მედიცინის ერთ-ერთი დარგია, ხოლო ვალეოლოგია კი - ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ მედიცინას. ვალეოლოგია არ იზღუდება პროფილაქტიკური ღონისძიებებითა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვით, არამედ მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისათვის ყველა არსებული დადებითი ფაქტორების გამოყენებით და არა მხოლოდ მანვე ფაქტორების შეზღუდვითა და აცილებით. ვალეოლოგია ჰიგიენური კვლევის მეთოდების გარდა, თანაბრად გამოიყენებს დიაგნოსტიკის ფიზიოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა მეთოდებს, როგორცაა ფიზიკური, ქიმიური, ფარმაკოლოგიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური, რაც მიმართულია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელობის რე-



ზერვების ფორმირებისათვის და კორექციისათვის.

ვალეოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით ნოზოლოგიის სახეები და კლინიკური მედიცინის ნაწილი წარმოადგენს გუშინდელ დღეს, რადგან თანამედროვე მედიცინის გამაჯანსაღებელ ეტაპად აღიარებულია სანოლოგია და რეაბილიტოლოგია. რაც შეეხება კლასიკურ მედიცინას, მან თავისი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის შენაძენად განვლო მრავალსაუკუნოვანი გზა და მიადგია უდიდეს წარმატებებს დაავადებათა დიაგნოსტიკაში და ქირურგიულ მკურნალობაში, სამედიცინო-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, ახალი დარგების (გენური ინჟინერია, ტრანსპლანტოლოგია, ინფორმატიკა და ა.შ.) ჩამოყალიბებაში და დანერგვაში, თითქმის სრულყოფილად დაიხვეწა ადამიანის ორგანიზმის ორგანოებისა და სისტემების ანატომიურ-მორფოლოგიური შესწავლა (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის მეთოდი, ელექტრონული მიკროსკოპია, იმუნომორფოლოგია და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ავადმყოფთა რაოდენობა კი არ მცირდება, არამედ პროგრესულად მატულობს, დაავადებათა უმეტესობა „განუკურნებელ დაავადებათა“ კატეგორიას მიეკუთვნება. ჩვენდა სამწუხაროდ, თანამედროვე სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების დანერგვამ და ძლიერმოქმედი თერაპიული საშუალებების დანიშნვამ კაცობრიობა მიიყვანა იქამდე, რომ ხშირად ერთი დაავადების მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ორგანიზმში მრავალი სახეობის ორგანული და სისტემური გართულებები. ყოველივე ამან, მედიცინა ჩიხში შეიყვანა და ამჟამად ჯანმრთელი ადამიანის ცნე-

ბა და შინაარსი წარმოადგენს იშვიათობას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში შეიქმნა მეტად საშიში პარადოქსალური მდგომარეობა: რაც უფრო მეტად არის განვითარებული მედიცინა, მით უფრო მეტად გრძელდება ნომენკლატურის შესაბამისად პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების ჩამონათვალი (შეიძლება იყოს 23 ათასამდე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენთაგანს, საშუალოდ უნდა ვეჭონდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმები რეგულარულად იგონებს ახალ სინდრომებს, პათოლოგიის სახეობებს და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში გარედან ასეთი სურათი ჩანს. ამიტომ, ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს დაიცვას თავისი ჯანმრთელობა ჯანსაღი ცხოვრების წესის გატარებით, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულ ჩართვას საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

განვიხილოთ რა ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის პოზიციებიდან, მიზანშეწონილად მიგვჩინია ავღნიშნოთ მათი ინდივიდუალური დარგობრივი ფუნქციური სხვაობა მოქმედებაში და საზღვრების გამოიყვანაში. სანოლოგიას მთლიანობაში არ შეუძლია და არც ითავსებს მედიცინისა და ჰიგიენის ფუნქციებს, ისევე როგორც მედიცინასა და ჰიგიენას არ შეუძლია გადაწყვიტოს სანოლოგიისთვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხები. მათი კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავე საკითხებისურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტის პროცესში.

დღეს, საქართველოში სანოლოგია (ვალეოლოგია), როგორც მეცნიერება მიძინებულ მდგომარეობაშია და ამის მთავარი მიზეზი დევს ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, მათი უინტერესობის გამოხატვით ჯანმრთელი მოსახლეობის ფორმირების საკითხებში. ქვეყანაში არ დაწესებულა მუშაობა სანოლოგიის განათლებისა და პრაქტიკის განვითარების სტრატეგიის შესაქმნელად. ეს კი ხელს უწყობს შიდა დარგობრივი პროფესიული კონსერვატიზმის ჩამოყალიბების პროცესს, მეცნიერული კვლევების რეგიონულ გათიშულობას და ერთიანი ინფორმაციული ბანკის უქონლობას. ვალეოლოგია (სანოლოგია) კი – ჰოლისტიკური მიდგომით წარმოადგენს ინტეგრირებულ მეცნიერებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება სამკურნალო მედიცინითა და საავადმყოფოთა ჯანდაცვის გზით სვლა ყოველად მიუღებლად მიგვანია. ჯერ კიდევ დროა, შეგებრუნდეთ არადაავადებული ადამიანებისაკენ, მოვახდინოთ მათი პირველადი პროფილაქტიკა და ეს ვაქციოთ ყველაზე მთავარ საქმედ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში, მასში ჩავრთოთ სახელმწიფოსა და

საზოგადოების მთელი ძალისხმევა და საშუალებები. ეს ამოცანა კი-არ ეტევა მხოლოდ მედიცინის ჩარჩოებში. ამიტომ, საჭიროა არა ალტერნატიული, არამედ მედიცინასთან თანამეგობრული მედიცინის პირობების შექმნა.

თანამედროვე მედიცინამ, თავისი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით საფუძველი უნდა დაუდოს ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელის შექმნას, შეისწავლოს ორგანიზმის დაცვითი მექანიზმები ჰომეოსტაზის ეფექტური შენარჩუნების მიზნით და ხელი შეუწყოს დაავადების დროს ავადმყოფის გაჯანსაღების პროცესს სანოლოგიური (ვალეოლოგიური) ცოდნისა და კრიტიკური უნების სრულყოფის საფუძველზე. ეს კი მთლიანობაში თვისობრივად მოითხოვს ჯანდაცვის სტრატეგიის შეცვლას არა ე.წ. ჯანმრთელობის „დაცვით“, არამედ ადამიანის ჯანმრთელობის მართვის გზით, უპირატესად უნდა დაკავდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირებითა და მასზე მიზნობრივი კონტროლის განხორციელებით. ცნობილი მეცნიერის ნამოსოვის შესხედულებით ადამიანს „არ უნდა ჰქონდეს მედიცინის იმედი. ის მრავალ დაავადებას ცუდად არ მკურნალობს, მაგრამ არ შეუძლია ადამიანი ჯანმრთელი გახადოს.“

ლიტერატურა:

1. დოლიძე ი. – ვალეოლოგიური განათლება წარმატებული ქვეყნის საეიზიტო ბარათი\ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, 11;
2. დოლიძე ი. – სანოლოგია – ჯანმრთელობის მართვის ფუნდამენტური მოძღვრება\ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2011, 2;
3. დოლიძე ი. – სამკურნალო პედაგოგიკის როლი სამედიცინო ვალეოლოგიაში\ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2012, 12;
4. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – ვალეოლოგია (სანოლოგია – სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“\ სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9;
5. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი\ სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. 2013, 15-10-9;
6. დოლიძე ი. – სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში\ მედიცინისა და მეცნიერების თანამედროვე პრობლემები, 2014, 1.

რეზიუმე

ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის მეცნიერულ-პრაქტიკული პოზიციებიდან

იბ. დოლიძე, ბ. ჩახუნაშვილი (თბილისი, საქართველო)

თანამედროვე კლასიკურმა მედიცინამ, მიუხედავად იმისა, რომ მიადწია უმღლესი დონის წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის თეორიულ-პრაქტიკულ სფეროში, უძღური აღმოჩნდა ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის პრობლემას შეისწავლის მეცნიერების მრავალი დარგი (მედიცინა, ბიოლოგია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, გენეტიკა და ა.შ.), დღემდე ინტეგრირებული მიდგომით არ გადაწყვეტილა ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელის შექმნის საკითხი, სრულყოფილად არ შესწავლილა ორგანიზმის დაცვით-შეუყებითი მექანიზმების ურთიერთკავშირი. სახელმწიფოებრივი მედიცინა და ჯანდაცვის სოციალური სისტემა ძირითადად დაკავებულია ავადმყოფების მკურნალობით და არა ჯანმრთელი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებით. შედარებით ახალი დარგი – სანოლოგია (სწავლება ჯანმრთელობაზე) დინჯად შემოდის პრაქტიკულ მედიცინაში და მიუხედავად სუბიექტური ხასიათის დაბრკოლებებისა, იკავებს ძირითად პოზიციას ჯანმრთელი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში.

ადამიანის ჯანმრთელობის განხილვა მედიცინის (სწავლება დაავადებებზე), ჰიგიენისა (სწავლება ცხოვრების ჯანმრთელ გარემოზე) და სანოლოგიის პოზიციებიდან, იძლევა ინფორმაციულ წარმოდგენას მათ დარგობრივ ფუნქციურ სხვაობებზე, როგორც მოქმედების, ასევე საზღვრების გამიჯვნის შემთხვევაში. სანოლოგიას მთლიანობაში არ შეუძლია და არც ითავსებს მედიცინისა და ჰიგიენის ფუნქციებს, ისევე როგორც მედიცინასა და ჰიგიენას არ შეუძლია გადაწყვიტოს სანოლოგიისთვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხები. მათიკავშირი შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავე საკითხების ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტის პროცესში. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კლინიკური მედიცინის ნაწილი და ნოზოლოგიური სახეები წარმოადგენს მეცნიერების გუშინდელ დღეს, რადგან თანამედროვე მედიცინის გამაჯანსაღებელ ეტაპად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებულია სანოლოგია და რეაბილიტოლოგია.

SUMMARY

HUMAN HEALTH, USING THE SCIENTIFIC-PRACTICAL EXPERIENCE OF MEDICINE, HYGIENE AND SANOLGY

IG DOLIDZE, G CHAKHUNASHVILI
Tbilisi, Georgia

Despite the theoretical-practical achievements in the modern medicine, it has still been an issue to improve quality and duration of life. Also, the scientific fields that study health problems (Medicine, Biology, Psychology, Genetics, etc) can't yet help to create the healthy psycho-physical human model, interactions between protective-adaptive mechanisms of organisms are not fully studied as well. Public health system is mainly busy with treating the patients, rather than preserving human's health. Comparably New field – Sanology (branch of medicine which studies Health) is calmly approaching practical medicine and despite the obstacles, has leading positions in forming criterias for preserving health in healthy people.

Discussing human health using medicine, hygiene and sanology, gives us information about branch and functional distinctions. Sanology can't merge the functions of medicine and hygiene, as medicine and hygiene can't solve the problems typical to Sanology. Connection between these fields can only be considered in the process of solving issues typical to all of these branches. Here-with, we should consider the fact that Clinical medicine and nosological species are left in the past, because Sanology and rehabilitology is recognized to be the most effective way of recovery.

ალბრლისათვის

აქ. ლაბარტყაშვილი
მედ. მეც. დოქ. პროფესორი (თბილისი). (საქართველო)

საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, რთულია თავისი არსით და შინაარსით. გაგიზიარებთ ზოგიერთ ჩემს შეხედულებას მის სირთულესთან დაკავშირებით.

ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე საჭიროა მსჯელობა მისი აღზრდის საკითხებზე. მოზარდის ბუნების ბიოლოგიური შემადგენლის შეცნობა-შესწავლით უნდა დავეიწყოთ, მხოლოდ ფიზიკური შეგარძნებით არ აღიქმება სასიცოცხლო ძალა.

თანამედროვე ცვლილებები თითქოს ყოველთვის სიხლის მომტანია, ასე არ არის, მას სიკეთე მოაქვს მაშინ, როცა გარკვეულია მისი შინაარსი. ცოდნამ არ შეიძლება უპასუხოს ყველა შეკითხვას, აუცილებელია სულიერება. ის მოგვანიჭებს საშუალებას გავერკვეთ თანამედროვეობაში.

ადამიანს შეუძლია ბუნების მოვლენებში ჩაღრმავდეს. აღქმა იძლევა სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას და გარემოს შეგარძნობა აუცილებელია მისი ათვისებისთვის.

სულიერება უსაზღვროა, გრძობის ჩართულობით მივიღებთ პასუხს გამაღიზიანებლის რაობაზე.

შიში იმისა, არ ჩავიდინო უარესი, რჩება ძირითად შეხედულებად. ქმედება ფიქრის გამოძვლავებაა და მაინც ძალისმიერი, იდუმალის შეგძნება დამაჯერებელს ხდის ადამიანის ყოფას, მასზე ფიქრი და მსჯელობა ნაკლებად შესაძლებელია.

პიროვნება გვირგვინია, რომლის გამარტივება შეუძლებელია. განვითარებაში მონაწილეობა ცვლის ფიზიონომიას. საკუთარი თავის შეცნობა სიღრმის მატარებელია. სიხარული, მწუხარება, ხელვნების აღქმა და მასში ჩაღრმავება აკეთილშობილებს ადამიანს, ეს კი აღმზრდელობითი საშუალებებია.

ძნელია ან თითქმის შეუძლებელია შეცვალო საკუთარი ხასიათი და პასუხი გამაღიზიანებელზე, ამისათვის საჭიროა შრომა, რომლის სიყვარულს უნერგავს აღმზრდელი, რომელიც შეისწავლის და გამოიკვლევს აღსაზრდელის ბუნების ყველა ნაწილს.

დედის სხეულში ადამიანი მეტნაკლებად დაცულია, დაბადებისთანავე გარე სამყარო ახდენს ძლიერ გავლენას, რომლის მავნე ზემოქმედებიდან დაცვა და გარე სამყარო-



ში განვითარება რთულია და ბოლომდე შეუცნობი.

სკოლამდე, 6-7 წლამდე ასაკში პიროვნული თავისებურება განვითარების საწყისშია. პიროვნული ჩამოყალიბება შეიგრძნობა სქესობრივი მომწიფების ხანაში.

6-7 წლამდე დამოუკიდებელი სულიერება შეუძლებელია. სქესობრივი მომწიფების დროს ორგანოები დამოუკიდებლად ვითარდება, შესაძლებელია გარეგანი ძალე-

ბის ზეგავლენა, ვიდრე ჩამოყალიბდება პიროვნება – ადამიანის თავისებურებების ყველაზე მაღალი მანქანებელი. ამ ცვლილებების გამარტივება შეუძლებელია. სამყაროს განვითარებაში მონაწილეობა ცვლის მის ბუნებას. აღმზრდელთა ეხმარება სიხარულის, მწუხარების შეცნობაში. ხელოვნების აღქმა და მასში ჩაღრმავება აკეთილშობილებს ადამიანს, აღზრდისთვის საჭიროა ადამიანის გაცნობა, მისი თავისებურებების ცოდნა აუცილებელია მასზე საჭირო გავლენის მოსახდენად.

7 წლის ასაკიდან ფიზიკური სხეული გარკვეულ მიმართულებას იძენს, რაც გარკვეულწილად ბავშვობაში ჩამოყალიბებული სწორი ან არასწორი მიდგომის გავლენით უნდა აიხსნას. ბავშვისთვის დამახასიათებელია ხასიათის მიბაძვა ყველაფრისადმი, რაც მის გარშემო ხდება. ეს აისახება გრძნობებში. დიდი მნიშვნელობა აქვს მისი თანდასწრებით მომხდარ ქმედებას. ბავშვი სწავლობს მაგალითებზე, ძლიერი გავლენა მის აღზრდა-განვითარებაზე, გარემო თითოეული ბავშვის თავისებურებებთან უნდა შეიქმნას. აქედან ხდება მოთხოვნა აქვს მისი თანდასწრებით მომხდარ ქმედებას. ბავშვი სწავლობს მაგალითებზე, ძლიერი გავლენა მის აღზრდა-განვითარებაზე, გარემო თითოეული ბავშვის თავისებურებებთან უნდა შეიქმნას. აქედან ხდება მოთხოვნა აქვს მისი თანდასწრებით მომხდარ ქმედებას.

მნიშვნელოვანია კვების ძალა, სწორად შერჩეული კვება. ბავშვი მოითხოვს მისთვის სასარგებლოს.

სიხარულის და სიყვარულის გარემო აუცილებელია ბავშვისთვის. მისი თანდასწრებით არ შეიძლება ისეთი საქციელი, რაც შემდგომში იწვევს მიბაძვას, სწრაფვას და გახდეს ზეგავლენის მომხდენი მის ზრდა- განვითარებაზე.

ბავშვი ადვილად სწავლობს ენებს, სწორ მეტყველებას, სიმღერას, ცეკვას, მისი წარმოდგენა ივსება ცოცხალი მაგალითების შედარებით მიღებული შთაბეჭდილებებით.

აღზრდის საშუალებებია: მაგალითი, წაბაძვა, ავტორიტეტი, მათი გავლენით ყალიბდება ჩვევა, მიდრეკილება.

მაგალითი რომელთანაც შეხება შეუძლია მოზარდს, უდიდესი ძალაა, ასევეა ზოგადი სახეები, რომელითაც ის იხსენებს.

მოზარდი ყველანაირად უნდა მოვარიდოთ უხამსობებს, სასწრაფოდ უნდა წაიშალოს მისი წარმოდგენიდან ასეთი ზემოქმედება. მნიშვნელოვანია ვინ ესაუბრება, წაკითხვა ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს მოზარდზე. სიმბოლო უნდა მოქმედებდეს გონებაზე და გრძნობაზე. საჭიროა ყველა მოვლენა აიხსნას შესაბამისი მაგალითით. მოსაუბრე უნდა იყოს ადვსილი მისი მონათხრობით, ათბობდეს მსმენელის რწმენას.

სქესობრივი მომწიფების ასაკში განსჯით შესაძლებელია მის მეხსიერებაზე ზეგავლენა, რაც მისცემს მოზარდს საშუალებას გაერკვეს დროში და საგნებში, მეტყველება უნდა იყოს შესაბამისი. გონება სქესობრივი მომწიფების ასაკში იბადება, უფრო ადრე ასაკში ის დაცული უნდა იყოს ზეგავლენისგან, გონებით გარკვევისათვის საჭიროა მეხსიერებით ათვისება.

ხასიათის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა მოზარდი გრძნობდეს თავს გარემოსთან კავშირში, ცოდნა საწყისია ღირსეული საქციელის, მოზარდმა უნდა იგრძნოს ბუნება, უნდა განვითარდეს ფერთა სილამაზის გემოვნება. ზნეობა უღვივებს სიკეთის არსს, მხოლოდ აზროვნება მავნებელია, ამ ასაკში უნდა განვითარდეს მსჯელობა, უნარი, დამოუკიდებელი აზრი.

ფიზიკური დატვირთვა საჭიროა საკუთარი ძალის შეგრძნებისთვის. საჭიროა ცოდნა სხეულის ნაწილთა ურთიერთქმედებაზე. სიმწიფის მოახლოებისას ადამიანი გრძნობს საკუთარი აზრი ქონდეს ამა თუ იმ მოვლენაზე, საკითხზე, რამაც ხელი არ უნდა შეუშალოს ცხოვრებაზე დაკვირვების უნარს.

სულიერებისთვის საჭიროა კულტურული ღირებულებების არსის ჩანერგვა, იცოდეს რომ კულტურა პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია.

ადამიანი ცდილობს თავი შემოქმედად მიიჩნიოს. შემოქმედება ადამიანზე მაღლა მდგომი თავმდაბალი მსახურებაა.

ზემთო თქმულიდან გამომდინარე, მე მიმანია, მოზარდი აღზარ-

დოს დედამ, სასურველია მრავალშვილიან ოჯახში. დედას ეხმარება უფროსი და-ძმის ზრუნვა და სიბო. ძიამ, თუმცა გაძიება აღარ არსებობს ან თითქმის არ არსებობს, მას სხვა საფუძველი ედო. აღმზრდელმა, (აღსაზრდელის რაოდენობა შეზღუდულია) დედის დამ ან მამის დამ, ბებიამ. ცალკე მსჯელობის საკითხია ნაშვილვეის აღზრდა, რასაკვირველია, უსაზღვროა მამის და საერთოდ მამაკაცის მნიშვნელობა. მოზარდის არსებობისას ხშირია თითქოსდა იმ წუთისათვის შეუფერებელი საქციელი, რაზედაც ნებისმიერი იქ მყოფი ამჟღავნებს რეაქციას, ზოგჯერ ფიზიკურს, თუნდაც უმნიშვნელოს. ადამიანს ეს მთელი ცხოვრება ახსოვს და საჭიროა დიდი დრო ამ მეხსიერების შეფასებისათვის. მხოლოდ დედის მიერ გამოთქმული შენიშვნა თუ ფიზიკური შესება რჩება უპასუხოდ.

დევეანდელობა არ აძლევს ქალს საშუალებას შეასრულოს ეს მისია, მისი ჩართულობის გამო ცხოვრების ორმოტრიალში. მოზარდი ხშირად იძულებულია იზრდებოდეს უცხო ადამიანების გარემოცვაში, მათთან ურთიერთობისას იკარგება კეთილშობილი, მიმტვევებელი, მოსიყვარულე პიროვნებად ჩამოყალიბების არაერთი ბედნიერება. სქესობრივი მომწიფების ასაკში გაძნელებულია მისი პასუხი გარემოს მიმართ, მეტია მისწრაფება ფიზიკური ძლიერებისაკენ.

დევეანდელობა არამარტო ცხოვრების პირობებით, არამედ გლობალური ზეგავლენის გამო არ აძლევს ქალს საშუალებას შეასრულოს აღმზრდელის, დეთვის მიერ ბოძებული ბედნიერება. მის შემოქმედებაში იყოს დედა, უხეშად ერევა სოციალური და სხვა უამრავი ფაქტორი.

კამათის და ცალკე მსჯელობის საკითხია აღზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს აღსაზრდელთა რაოდენობა. ის არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამს, კერძო ბაღებში უკეთესი პირობებია ამ მხრივ. ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები საჭიროებს უფრო ღრმა ჩაწვდომას.

რეზიუმე

აღზრდისათვის

ა. ლაბარტკავა

მედიკ. მეც. დოქ. პროფესორი (თბილისი, საქართველო)

მოზარდი აღზარდოს დედამ, სასურველია მრავალშვილიან ოჯახში. დედას ეხმარება უფროსი და-ძმის ზრუნვა და სიტბო. ძიძამ, თუმცა გაძიძება აღარ არსებობს ან თითქმის არ არსებობს, მას სხვა საფუძველი ედო. აღმზრდელმა, (აღსაზრდელის რაოდენობა შეზღუდულია) დედის დამ ან მამის დამ, ბებია. ცალკე მსჯელობის საკითხია ნაშვილთვის აღზრდა, რასაკვირველია, უსაზღვროა მამის და საერთოდ მამაკაცის მნიშვნელობა. მოზარდის არსებობისას ხშირია თითქოსდა იმ წუთისათვის შეუფერებელი საქციელი, რაზედაც ნებისმიერი იქ მყოფი ამჟღავნებს რეაქციას, ზოგჯერ ფიზიკურს, თუნდაც უმნიშვნელოს. ადამიანს ეს მთელი ცხოვრება ახსოვს და საჭიროა დიდი დრო ამ მეხსიერების შეფასებისათვის. მხოლოდ დედის მიერ გამოთქმული შენიშვნა თუ ფიზიკური შეხება რჩება უპასუხოდ.

კამათის და ცალკე მსჯელობის საკითხია აღზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს აღსაზრდელთა რაოდენობა. ის არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამს, კერძო ბაღებში უკეთესი პირობებია ამ მხრივ. ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები საჭიროებს უფრო ღრმა ჩაწვდომას.

SUMMARY

FOR UPBRINGING

A. LABARTKAVA

Doctor of medical science, Professor (Tbilisi, Georgia)

Teenager must be raised by mother, preferably in a large family. Older sisters and brother's care and warmth assist mother a lot. Wet-nurse, although nowadays wet-nursing doesn't exist or nearly doesn't exist, the purpose of it was different. The educator (quantity of educators are limited), mother of the sister or mother of the father, grandmother. Bringing up the adopted child is a different occasion. Of course significance of the father and men in general, is infinite. When having a teenager, irrelevant behavior is often present, on what everybody around him reacts, sometimes even physically (abuse), but insignificantly. Human remembers this for a long time and a lot of time is needed to estimate that memory. Only mother's remarks and physical abuse stays beyond the memory.

Upbringing in institutions of under school age children is also subject of controversy, where it's essential to determine the number of children. The number of children must not be higher than 2-3, and conditions, considering this issue, are slightly better in private kindergartens. Suggestions that are listed above should be deeply realized.

საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს კულტურის ძეგლები წარმოადგენენ, რომელთა შორის ქართული ავეჯიც გამოირჩევა.

ქართული ხალხური ავეჯი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ხითხურობის ხელოვნებაში. საქართველოს მთიანეთში შემონახულია არქეოლოგიური ინვენტარის სახით დაცული ავეჯი. ხითხურობის ტრადიცია მყარ ნიადაგზეა აღმოცენებული და წარმომავლობით უძველეს დროიდან მომდინარე ჩანს. ქართველი ხალხის მდიდარი ტრადიციების და სამეურნეო ცხოვრების ხასიათმა, ხის მხატვრული დამუშავების მაღალმა დონემ, საფუძველი ჩაუყარა ხის ავეჯის შექმნას. იგი იშვიათი ჰარმონიისა და სრულყოფის შთაბეჭდილებას ახდენს.

ქართული ხალხური ავეჯის შესწავლისათვის ძირითადი მასალა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია მოპოვებული, სადაც დღემდეა შემონახული ავეჯის დამზადების და ინტერიერში განლაგების ტრადიცია. ავეჯის ფუნქციის განხილვა, განლაგების და გამოყენების ხერხები, ხალხის ცხოვრების ხასიათს არკვევს.

საცხოვრებელი სახლების განუყოფელ ნაწილს ინტერიერი წარმოადგენს. საცხოვრებლის ინტერიერის ორგანიზაცია ვარაუდობს ფუნქციურ კანონზომიერებათა მთელ კომპლექსს, რომელიც თავის მხრივ შეიცავს ეკოლოგიურ თავისებურებებს; ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის შეგუებას გარემოსთან, ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს.

გარემო, რომელსაც ქმნიდა ადამიანი, უნარჩუნებდა მას ფსიქო-ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და მუდმივ

ქართული ავეჯის ეთნობრაჟიული წარმომავლობა

ველიკო ტოვაშვილი აკადემიკოსი



წონასწორობას. ინტერიერის კლასიფიკაცია ხდება შესაბამისი საცხოვრებლის მიხედვით.

საცხოვრებელში სამეურნეო და საოჯახო საქმიანობის გარკვევისათვის ინტერიერი მიზანშეწონილად არის დაყოფილი: სამეურნეო, ძილის, საჭმლის დამზადების და მიღების, დასვენების, საოჯახო საქმიანობის, სტუმრების მიღების, ბავშვების ადგილსამყოფელი, კულტისათვის განკუთვნილი ადგილი.

მთელი საცხოვრებლის განვითარება და დახვეწა დაკავშირებულია შრომის შემსუბუქებასთან, შრომის დროის შემცირებასთან სივრცის მაქსიმალური განვითარების გზით. ე.ი. მოთხოვნათა დაკმაყოფილება ნაკლები რაოდენობის საგნებით და აღჭურვილობით (კომბინირებული ავეჯი, ჩაშენებული კარადები, თაროები და თახჩები). მთიელთა საცხოვრებლის ინტერიერისათვის დამახასიათებელია სტაციონარული ავეჯი, მისი გადაადგილება თითქმის არ ხდება.

ქართული ხალხური ავეჯი დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: სანოლი, სასხდომი, სატრაპეზო და სათავსებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავეჯის საწოლად (საძილად) განკუთვნილი დგამის ნაირსახეობანი: სკამ-ლოგინი, ტახტი, სანოლი, მერხი, აკვანი. სანოლი ავეჯის აღსანიშნავად ქართულ წერილობით ძეგლებში X საუკუნემდე „სარცელი“ და „ცხედარი“ გვხვდება. X-XVII საუკუნეებში „სარცელს“ „ტახტი“ ეწოდებოდა.

სასხდომი ავეჯიდან აღსანიშნავია „სამამაცო“ (საკაცო) სკამი, სავარძელი (საკარცხელი), კერის სკამი „სამფეხა“ და სხვა. „სკამი“ წერილობით წყაროებში საჯდომი ავეჯის სხვა სახელებთან (სელი, დასაჯდომელი) ერთად იხსენიება („ვეფხისტყაოსანი“, „ხელმწიფის კარის გარიგება“ და სხვა). სიტყვა „სკამი“ (სამამაცო სკამი) „მრავალთ სასდომელ“ ავეჯს აღნიშნავდა. სავარძელი ნახსენებია იშკის ბიბლიაში (წიგნი IV მეფეთა, 4, 10). ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ სავარძელთაგან თავისი დანიშნულებითა და დახვეწილი ფორმებით სვანური „საკურცხილი“ გამოირჩევა. იგი ოჯახის უფროსის საპატიო სკამი იყო. კერის მარჯვენა მხარეს, როგორც წესი, საკაცო მერხი უნდა მდგარიყო, მარცხენაზე კი – საქალო. კერის გამოგენა საკაცო და საქალო მხარეებზე გამოწვეული იყო შესაბამისად განაწილებული შინააქმიანობით. მამაკაცსა და ქალს შორის.

კერა ოჯახის გამერთიანებელია, ყოველთვის წამყვან ელემენტს წარმოადგენს. კერა ინტერიერში გამავალი ღერძიდან ოდნავ გადაწეულია, ისე, რომ საქალებო ნაწილს მუტი ადგილი უკავია. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ქალის სამეურნეო მრავალრიცხოვან პროცესთან.

სვანურ სახლში ერთმანეთისგან მკვეთრად იყო გამოიჯნული ქალისა და მამაკაცის სამყოფი ადგილი. მამაკაცის მხარეს განლაგებულია ხელსაწყო და შრომითი იარაღები. ქალებისა და კაცების ასეთი განლაგება განსაკუთრებით მტკიცედ იყო დაცული წვეულების დროს.

საკაცო სკამზე მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ, სხდომის ეტიკეტის დაცვით. ეს უკანასკნელი ასაკის გათვალისწინებას გულისხმობდა და სწორედ ჯდომაში გამოიხატებოდა. ქალებიც, მამაკაცების მსგავსად, უფროს-უმცროსობის წესის დაცვით სხდებოდნენ. თუ ოჯახს ერთი კაცი ჰყავდა, მაშინ ის გრძელ სკამზე დაჯდებოდა, დანარჩენი ხუთი-ექვსი კაცის ადგილი თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ოჯახის უფროსის სახლში არ ყოფნის შემთხვევაში მისი ადგილი სტუმარს ეთმობოდა, თუ სტუმარი მასპინძლის სწორი იყო.

სატრაპეზო ავეჯია ხონჩა-ტაბლები. ტაბლა პურობისათვის განკუთვნილი სუფრაა, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მაგიდის მნიშვნელობით იხმარებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების სუფრები

გვხვდებოდა: ხევსურული „ტაბლანი“, მთიულური „ტაბლა“, თუშურ-ფშავურ-მოხვეური „ხონჩა“. ეს უკანასკნელი სამი ან ოთხეუბანი იყო. თუშეთში ხონჩას დანიშნულების მიხედვით განასხვავებდნენ – „სახორცე ხონჩა“, რომელიც სვანური „ლაზურ ტაბაკის“ მსგავსად მხოლოდ ხორცის დასადებად იხმარებოდა. მთიულეთ-გუდამაყარში სამფეხა მრგვალი ტაბლა გვხვდება. ამგვარ სუფრებს განეკუთვნება სვანური „ფიჩქიც“.

როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, საქართველოში სხვადასხვა მოყვანილობის სუფრების არსებობა მოწმდება. ტაბლა-ტაბაკის სახელით დამკვიდრებული მრგვალი სუფრა ამ ტრადიციული ავეჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ახლანდელი მაგიდის სახელწოდებად ტაბლა იხმარებოდა.

სულხან-საბას განმარტებით ტაბლა ქართული ტერმინია და საყურადღებოა, რომ ეს სახელი სუფრის მნიშვნელობით საქართველოს მთიანეთში დღემდე შემონახულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრების ხასიათმა და საქართველოში ხის დამუშავების მაღალმა დონემ საფუძველი ჩაუყარა სრულყოფილი ხის ავეჯის შექმნას. საქართველოს ხალხური ავეჯი თავისი აღნაგობითა და მხატვრული შემკულობით გამოირჩევა. იგი იშვიათი ჰარმონიისა და სრულყოფის შთაბეჭდილებას ახდენს.

ხალხური ავეჯის, ისევე, როგორც ყოფის ამსახველი სხვა საოჯახო ნივთების მრავალგვარობაში ვლინდება ხის დამუშავების ის ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ძველზე დაყრდნობით შემოქმედებითად ვითარდება.

ქართული ავეჯის შესწავლისათვის ხელშესახები მასალა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია მოპოვებული, სადაც დღემდე შემონახული ავეჯის დამზადებისა და ინტერიერში მისი განლაგების ზოგიერთი ტრადიციული ფაქტი, თანდართული ფოტომასალა კი ხალხური ავეჯის მრავალფეროვნების თვალსაჩინო სურათს ქმნის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ავეჯის დამზადება ტრადიციული ცოდნის შედეგია და მისი ფესვები საუკუნეთა სიღრმეშია საქმნი.

ქართული ხალხური ავეჯის კლასიფიკაცია, ფუნქციისა და წარმოშობის მიხედვით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: დასაწოლი ავეჯი, დასასხდომი ავეჯი, სასერობო (ტაბლა-სუფრა) და სათავსებელი (კიდობანი, სკივრი და სხვა), ხალხური ავეჯის ამ თანმიმდევრობით განლაგებისას იმ დაჯგუფებას ეთივალისწინებთ, რომელიც აკ. ივანე ჯავახიშვილის მიერ ძირითადად ქართული წერილობით წყაროებსა და ფრესკებზეა გამოსახული.

ესება რა ავეჯის ფუნქციას, ივ. ჯავახიშვილი წერს: „ავეჯი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვანაირი არსებობდა: ერთი – ძილისათვის განკუთვნილი, მეორე – დასაჯდომად, რომელსაც საჯდომელი, სასხდომელი და საჯდომი ეწოდებოდა“.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ავეჯის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ, დანიშნულება – ფუნქციის მიხედვით ავეჯის დაყოფის შესაძლებლობა მოგვცა. პირველ ჯგუფში, ე.ი. სანოლი ავეჯის კატეგორიაში ერთიანდება: მერხი სკამ-ლოგინი, ტახტი, ლოგინი, ლაჭანი, ჩაფი, ჯინი, ბაცანკალი-სასთუმალი. ლაჭანის სახელით ცნობილი ძირგამონწული ტახტი და მოწული სანოლი (ჯინი, ჩაფი).

სანოლი ანუ საძილე ავეჯის აღსანიშნავად, როგორც უძველესი წყაროებიდან ჩანს, სარცელი იხმარებოდა, რომელსაც აკ. ივ. ჯავახიშვილი ძველ ქართულ სიტყვად მიიჩნევს და მას რცევა ზმნისაგან წარმოშობილად თვლის. იგი აღნიშნავს: „რცევა-გაშლას“, დაგებას ნიშნავდა. სარცელი კი ასეთ ავეჯს წარმოადგენდა, რომელზედაც ლოგინი უნდა





დაგებულებით. მისივე გამოკვლევის მიხედვით სარცელი, როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძველ წერილობით ძეგლებში X საუკუნემდე გვხვდება.


მეორე ჯგუფშია სკამ-ლოგინები, როგორც საერთო სასხდომელი, ანუ საჯდომი ავეჯი. აქედან გამოიყოფა: ზურგიან-გვერდებიანი, უზურგო და მკლავიანი სკამები. ხოლო ზურგიან-გვერდებიანი სკამების ქვეტიში ერთიანდება: მოხვეური საკაცო სკამი, ხეცურული სამამაცო სკამი და თუშური ზურგიან-გვერდებიანი სკამი. რაც შეეხება უზურგო გრძელ მერხებს, ისინი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში. მკლავიანი სკამები, უმთავრესად, მთიულეთ-გუდამაყარში და თუშეთში გვხვდება. ამავე ჯგუფში ექცევა ინდივიდუალური სასხდომი სავარძელი, რომელიც ერთი ადამიანისათვის არის განკუთვნილი და დღემდე შემონახული ავეჯის ერთ-ერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ, საუფროსო და კერის სკამებად იყოფა. საუფროსო სკამების კატეგორიას მიეკუთვნება: საკურცხილი, სამარტო სკამი, ჩიკა და სხვა. ფორმის მიხედვით სავარძლებიდან შეიძლება გამოიყოს სამეფო და ორფეხა

სავარძლების სამი ქვეტიპი: ზურგიან-გვერდებიანი, მოხვეულ-ზურგიანი და სწორზურგიანი. ზურგიან-გვერდებიანი სავარძლის ქვეტიპში ერთიანდება: სვანური საკურცხილი, რაჭული საკარცხული, ოსური სავარძელი, მოხვეური სამარტო, მთიულური საუფროსო და თუშური ჩიკა-სავარძელი.


ავეჯის კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში განიხილება ხონჩები, დგამ-ჭურჭელი, რომელთაც ახასიათებთ კომბინირებული ფუნქცია, თუმცა ისინი დღემდე წმინდა ჭურჭელადაა მიჩნეული. ამ ჯგუფიდან გარეგნული ნიშნების მიხედვით ხისგან კვეთილი სუფრების შემდეგი სახეობები გამოიყოფა: სხვადასხვა დიამეტრის მქონე მრგვალი გობები – ტაბაკები, რომლებიც ჭურჭლისა და დგამის ფუნქციას განყოფილებაში, ავეჯის დამზადების და მისი გამოყენების წარმომავლობით უძველესი დროიდან მომდინარე ჩანს. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ქართული ავეჯის ხელოვნების მაღალ დონეს.

შენიშვნა: მოხსენებას თან ერთვის ძველი ქართული ავეჯის თვალსაჩინო ფოტო-მასალა.






1.




3.




5.




2.




4.




6.




7.




8.




9.




12.




11.



10.



13.



14.

1. ჩაუაში, სკივრი.
2. მესტია ანალოგი.
3. სავარძელი მესტიის რაიონში.
4. სავარძელი მეჯვრისხევში.
5. სავარძელი ფშავ-ხევსურეთში.
6. მახაში, სკივრი.
7. მბეცი სავარძელი ი. ონიანის სახლში.
8. ჩირდილი საწოლი.
9. სავარძელი მესტიის რაიონში.
10. სასაში, დივანი გ. ონიანის სახლში.
11. სავარძელი მესტიის მუხეუმში.
12. ლარგვისი, დივანი.
13. კორინთა, სავარძელი.
14. სასაში, კილობანი გ. ონიანის სახლში.

რეზიუმე

ქართული ავეჯის ეთნობრაზიული წარმომავლობა

ვ.ტოზაშვილი, აკადემიკოსი (თბილისი.საქართველო)

შრომში დეტალურადაა განხილული და გაანალიზებული ქართული ავეჯის ეთნობრაზიული წარმომავლობა

SUMMARY

ETHNOGRAPHIC ORIGINS OF GEORGIAN FURNITURE

V.TOZASHVILI, Academic (Tbilisi, Georgia)

In this work, ethnographic origins of Georgian furniture are discussed in details.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია
EUROSCIENCE GEORGIAN NATIONAL SECTION



**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა
და სოციალური ღაცვის პროგრამები**

27.12.2014

ირაკლი შავგენიშვილი
თსსუ პროფესორი



ჯანდაცვის პროგრამა 2015
ახალი

ლეიკემიითა და სხვა ონკოპათოლოგიური დაავადებული პაციენტების (0-30 წელი) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია

4 000 000 ლარი

თითო ბენეფიციარი - 200 000 ლარი.

ლეიკემიისა და სხვა ონკოპათოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამა 2015
ახალი

პროგრამის მიზანი:

- ონკოპათოლოგიური დაავადებების მქონე პირათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ონკოპათოლოგიური დაავადებით (მწვავე ლეიკემია, ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია, იტეზილური მიელომინოციტარული ლეიკემია, არა-ჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, ალასტური ანემია, პისტოციტოზი) გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ონკო-პათოლოგიური დაავადებების მქონე 30 წლამდე ასაკის პირების ძვლის ტვინის (დორფანი ურჯვლის) ტრანსპლანტაციით უზრუნველყოფა;
- ა) აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია;
- ბ) ალტერნატიული ტრანსპლანტაცია.

პროგრამის მოსარგებლები: 30 წლამდე ასაკის ონკო-პათოლოგიური დაავადებების მქონე ქ. თბილისის რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესპეციალურად ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია.



2015

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსება
კოდი - 6

205 004 000 ლარი



2015

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება
კოდი - 6.1

34 450 000 ლარი



ჯანდაცვის პროგრამა 2015
ახალი

„C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები

1 400 000 ლარი

თითო ბენეფიციარი - 700 ლარი.

„C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა 2015
ახალი

პროგრამის მიზანი: ქ. თბილისში რეგისტრირებულ ან ფაქტობრივად მცხოვრებულ C

ჰეპატიტით დაავადებული პირების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევებით დაფინანსების უზრუნველყოფა, ამ ვარსკვლავით დაავადებულ პირთა მკურნალობაში ჩართვისა და შედეგში გამოყენებულების მიზნით.

განსა. რეგისტრირებული ღონისძიებები:

- C ჰეპატიტის მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევებით უზრუნველყოფა:
- ა) ღვიძლის ბიოქიმიური მარკერებები;
- ბ) ძვლის ღრუს ორგანოების ულტრასონოგრაფია;
- გ) ღვიძლის ელასტოგრაფია;
- დ) HCV გენოტიპის განსაზღვრა;
- ე) HCV RNA (რაოდენობრივი).

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა

27 100 000 ლარი



ჯანდაცვის პროგრამა 2015

ონკოპრევენციის პროგრამა

1 200 000 ლარი



ონკოპრევენციის პროგრამა 2015

პროგრამის მიზანი: კიბოს ადრეული გამოვლენა და ონკოდაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

განსახორციელებელი ღონისძიებები და სამიზნე პოპულაცია:

- ▶ ბუბუს კიბოს სკრინინგი- 40-დან 70 წლის (ჩათვლით) ასაკის ქალებში;
- ▶ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი- 25-დან 60 წლის (ჩათვლით) ასაკის ქალებში;
- ▶ პროსტატის კიბოს სკრინინგი-50-დან 70 წლის (ჩათვლით) ასაკის მამაკაცებში;
- ▶ კოლორექტული კიბოს სკრინინგი-50-70 წლის (ჩათვლით) ასაკის ჩათვლით ორივე სქესი;
- ▶ ამბულატორიული ქირურგია:
 - ა) ბუბუს კიბოსწინარე დაავადებების ამბულატორიული ქირურგია 40-70 წლის (ჩათვლით) ასაკის ქალებში;
 - ბ) გინეკოლოგიური ამბულატორიული ქირურგია 25-60 წლის (ჩათვლით) ასაკის ქალებში;
 - გ) კანის კიბოსწინარე დაავადებების ამბულატორიული ქირურგია ორივე სქესის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

პროგრამის მისწოდებელი: ააიპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი“.



ჯანდაცვის პროგრამა 2015

გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

450 000 ლარი

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი 2015

პროგრამის მიზანი:

- ✓ გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია;
- ✓ ქ. თბილისში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება;
- ✓ სამედიცინო სტატისტიკური სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ მოსახლეობაში იმუნური სტატუსის (ცენს) შექმნა

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ▶ ქ. თბილისის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა აქტიური და პასიური ეპიდემიოლოგიის გამოვლენა; გადამდებ დაავადებათა პრევენცია; ეპიდემიოლოგიური მონაცემების რეგულარული შეგროვება, მონაცემთა ანალიზი;
- ▶ დენარტიზაციის, დენარტიკულისა და დენარტიკულის ღონისძიებათა ორგანიზება;
- ▶ მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ▶ ანტირაბული სასაქონლო დახმარების მინიჭების ხელშეწყობა;
- ▶ სამედიცინო მომსახურების მოწოდებისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის დაგეგმვისათვის რეკომენდაციების მართვა;
- ▶ ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობა.

პროგრამით მოსარგებლები არიან: ქ. თბილისში რეგისტრირებული და რეგისტრირებულ მაცხოვრებელი საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არ მქონე პირები.

პროგრამის განსახორციელებელი: ააიპ ქ. თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის მენეჯერული ცენტრი.

შენიშვნა: 2015 წელს პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 50 000 ლარით; დამატარება არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის კომპონენტით.



ჯანდაცვის პროგრამა 2015

ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია - 300 000 ლარი (2 724 ბენეფიციარი)

სოციალურად დაუცველი ოჯახების (70 000 - 200 000) ბენეფიციარი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სოციალურად დაუცველი ოჯახების (0 - 70 000) ბენეფიციარი - ჯანდაცვის სამინისტრო



ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა

2015

პროგრამის მიზანი:

ქ. თბილისში რეგისტრირებული ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის „ნარკომანია“ ფარგლებში ჩანაცვლებითი თერაპიაში ჩართული ან ჩართვის მსურველი პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსებას.

პროგრამის მოსარგებლები: ნარკომანიით დაავადებული თბილისში რეგისტრირებული პირი, რომელიც ამასთანავე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა 70 000-ის ზევით.

შენიშვნა: შეიძლება პროგრამაში ნარკომანიით დაავადებული ჩართვის შესწავლა. ნაკლად კომისიური გადაწყვეტილებისა, ჩართვა მოხდება სარეიტინგო ქულის მიხედვით (70 000 და მეტე).



2015

სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება

კოდი - 62

170 554 000 ლარი

ქ. თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა: 96 339 ოჯახი

- ▶ 0 - 57 000 (27 323 ოჯახი)
- ▶ 57 000 - 70 000 (18 300 ოჯახი)
- ▶ 70 000 - 100 000 (26 616 ოჯახი)
- ▶ 100 000 - 200 000 (24 100 ოჯახი)



სოციალურად დაუცველი ოჯახების 0-100 000 დაფინანსება

2015

კომუნალური სუბსიდირების პროგრამა

500 ლარი თითოეულ ოჯახზე (0-70 000)

37 195 500 ლარი



2015

ქ. თბილისის საჯარო და სახელოვნებო სკოლების, საბავშვო ბაღების პედაგოგების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტის, მეტროთი და საბაგირო გზით უფასო და შეღავათიანი ტარიფი თ მოსარგებლე პირთა მომსახურება

65 484 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 – 150 000 დაფინანსება
პროგრამა “ცხელი სადილი”

უფასო სასადილოებით მომსახურება

13 638 000 ლარი

31 895 - ბენეფიციარი



სოციალური დაცვის პროგრამები 2015

მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

1 211 360 ლარი



სოციალური დაცვის პროგრამები 2015

უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სტაციონალური, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების დაფინანსება –

15 000 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0-70 000 დაფინანსება

50 ლარი თვეში

მრავალშვილიანი (3 და მეტი ბავშვი) ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე

სულ 7 000 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 – 100 000 დაფინანსება

სოციალურად დაუცველი ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება

სულ: 1 000 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 - 100 000 დაფინანსება

ახალშობილთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება

მე-3 ახალშობილზე ერთჯერადად - 800 ლარი

მე-4 ახალშობილზე ერთჯერადად - 1000 ლარი

მე-5 და მე-6 ახალშობილზე ერთჯერადად - 1500 ლარი

სულ: 400 000 ლარი



სოციალური დაცვის პროგრამები 2015

სოციალურად დაუცველი ბავშვების 6 თვიდან 2 წლამდე დღის ცენტრის თანადაფინანსება –

75 790 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0-70 000 დაფინანსება

არაუმეტეს 30 ლარი თვეში

18 წლამდე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში სწავლების დაფინანსება –

525 000 ლარი

1 750 ბენეფიციარი



სოციალური დაცვის პროგრამა 2015

ბავშვების (10-15წელი) საზაფხულო ბანაკებში კულტურულ-გამაჯანსაღებელი პროგრამა

(უპირატესობა ენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს)

900 000 ლარი



სოციალური დაცვის პროგრამა 2015

თბილისში მცხოვრებ 3-დან 22-წლამდე ასაკის შშმ მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა

530 000 ლარი



სოციალური დაცვის პროგრამები 2015

შინმოვლის თანადაფინანსება -

400 000 ლარი



შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამა 2015

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მთავარი მიზანია თბილისში შინმოვლის პაციენტების (საწილს/სახლს მოქალაქეული ადამიანების) და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიკური შინმოვლის მომსახურების მიწოდებით.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ბენეფიციარების სელექცია;
- სერვისების მიწოდება
- სამედიცინო მომსახურების მიწოდება: პრევენცია; დიაგნოსტიკა; სამკურნალო – სარეაბილიტაციო ღონისძიებები; მონიტორინგი.
- მრეველი მოვლა – ჰიგიენური პროცედურები;
- სოციალური მომსახურების მიწოდება: სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარება მოგვარებაში, მოქმედების გეგმის შედგენა; საშუაველ მომსახურება.

პროგრამის მოსარგებლები:

- ქრონიკულად დაავადებული პაციენტები (უპირატესად ხანდაზმული ადამიანების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებიდან);
- პაციენტები გამოჯანმრთელობის სტადიაში (ოპერაციის შემდგომი, ინსულტადატანიალური და ა.შ.);
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 – 150 000 დაფინანსება

18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარება 1 200 ლარით, წელიწადში სამჯერადად, 400–400 ლარის ოდენობით მათთვის, აგვისტოს და დეკემბრის თვეებში.
▶ 800 000 ლარი



სოციალური დაცვის პროგრამები 2015

▶ შშმპ. საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური დაცვის ხელშეწყობა
400 000 ლარი



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა 2015

პროგრამის მიზანი:

- ▶ შშმ პირებში კულტური აქტივობების გაზრდა;
- ▶ შშმ პირებში ამაღლებული განათლების დონე;
- ▶ შშმ პირთა გაზრდილი მოტივაცია;
- ▶ შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. კერძოდ: შშმ პირებში კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; შშმ პირთა განათლებისა და შექცევითი აქტივობების ხელშეწყობა; შშმ პირების სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლები: ქ. თბილისში რეგისტრირებული შშმ პირი.



მშენა: ახალი პროგრამა.

მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლის დაფინანსება”

18 წლამდე ასაკის 2500 მოსწავლის სწავლების ღირებულების ანაზღაურება არაუმეტეს 40 ლარისა თვეში, ხელოვნების სკოლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.
სულ: 600 000 ლარი

რეზიუმე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მიმოხილვა-(2015წ)

ირ. შავლენიშვილი
(თსსუ)

შრომში განხილულია 2015 წლის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები.

SUMMARY

HEALTH AND SOCIAL CARE PROGRAMS REVIEW OF TBILISI MUNICIPALITY (2015).

I.PAVLENISHVILI
(Tssu)

In this work, health and social care programs of 2015 will be discussed.

18 წლამდე ასაკის 14 500 ბავშვის სწავლების ღირებულების ანაზღაურება სპორტული სკოლების და საცურაო აუზების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად
სულ: 740 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 - 70 000 დაფინანსება

▶ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების და მედიცინის რეზიდენტების 100%-ით დაფინანსება –
1 300 000 ლარი (მ.შ. პროფესიული 100 000 ლარი)



2015

- ▶ სოციალური დაცვის პროგრამების შეფასება
- ▶ და მუნიციპალური საავადმყოფოს და პოლიკლინიკის კონცეფციის შემუშავება
- ▶ 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტისათვის რეკომენდაციების შემუშავება
100 000 ლარი



სოციალურად დაუცველი ოჯახების 2015
0 – 150 000 დაფინანსება

▶ სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთათვის დახმარება 900 ლარით, წელიწადში სამჯერადად.
სულ: 1 000 000 ლარი



2015

- ▶ წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება თბილისის რაიონებში - **4 963 400 ლარი**
- ▶ დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია - **3 661 100 ლარი**

ეთნიკური კათოლიციები ამერიკულ და კავკასიელთა კოკულაციებში

მ. ჰიკაშვილი, მერ.მ.დ., ე. აბზიანიძე, ბ.მ.დ., ც. ბიბინიშვილი, ბ.მ.დ., ე. იმნაძე, ბ.მ.დ.
თსსუ მოღვაწეული და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

დღევანდელი პერსონიზებული მედიცინა და საოჯახო მედიცინა, როგორც მისი პირველი რგოლი, ითხოვს სერიოზული პოპულაციური კვლევების ჩატარებას, რადგანაც სწორედ გარკვეულ ოჯახურ ჯგუფებში აღინიშნება ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული დაავადებებისადმი წინასწარი განწყობა და რისკი, რაც ზოგადად დამოკიდებულია ქორწინების ტიპებზე.

გენთა სისშირე პოპულაციებში დამოკიდებულია მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციებზე, როგორც ეს დაიწყო, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 200 წლის წინ. ამ მოვლენამ გამოიწვია ზოგიერთი გენის სისშირის შეცვლა იმ ქვეყნებში, საიდანაც მოხდა ემიგრაცია, და იმ ტერიტორიებზე, სადაც მოხდა მიგრანტთა დასახლება. ახალ ტერიტორიებზე მოხდა ზოგიერთი გენეტიკური დაავადების გავრცელება, რადგანაც ადამიანები უდღებთან ერთად, რელიგიური ან კასტური, კანის ფერის ან სხვა ისეთი კრიტერიუმის საფუძველზე, რაც ასეთ ასიმილირებულ ჯგუფებში ქმნის გარკვეულ გენეტიკურ ჩაკეტილობას. მცირერიცხოვან პოპულაციურ ჯგუფებში წარმოიქმნება გენეტიკური იზოლატები, სადაც იქმნება მემკვიდრული გენეტიკური ან მულტიფაქტორული დაავადებების აგრეგაცია. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ეთნოსში ან რელიგიურ ჯგუფში დაშვებულია ახლონათესაური ქორწინება.

ქვეყნებში, სადაც მიგრაციის მაჩვენებლები ძალიან მაღალია – მაგ. აშშ, კანადა – მოხდა ზოგიერთი გენების სისშირის ზრდა და პოპულაციური ტვირთის წარმოქმნა. მიზეზი, როგორც ავღნიშნეთ, საწყის პოპულაციაში „დამფუძნებლის“ ეფექტი და, შემდეგ, ინბრედული ქორწინებაა.

კავკასიის პოპულაციებიც მაჩვენებელია იმისა, რომ გენთა სისშირე და „დრიფტი“ დამოკიდებულია სწორედ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მრავალსაუკუნოვან თანაარსებობასა და ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია, რომ კავკასიელ მიგრანტებში აშშ-ში და ჩვენს ტერიტორიაზე აღინიშნება მსგავსი პათოლოგიების გავრცელება. ამიტომ, ჩავთვალეთ, ერთგვარი პარალელები დაგვედგინა, რადგანაც რისკის დადგენა მოსახლეობის გარკვეულ ოჯახურ და პოპულაციურ ჯგუფებში აუცილებელია დროული სადიაგნოსტიკო სკრინინგების ფასილიტაციისათვის და სათანადო პრევენციული რეკომენდაციების და ღონისძიებების ჩატარებისთვის.

მაგალითად, პორფირია ანუ პერიოდული დაავადება – ჰემოგლობინის ჰემის მეტაბოლიზმის მემკვიდრული დეფექტი, – გავრცელებულია აფრო-ამერიკული წარმოშობის ემიგრანტებში (მაიკლ ჯექსონი) და ჩვენთან ეთნიკურად სომეხ და ბერძენთა პოპულაციებში (გ. კუხანოვი, ზოგადი ქირურგიის კათედრა, 1972 წ., ლექცია და კლინიკური შემთხვევა).

ქისტოზური ფიბროზი (მუკოციციდოზი) – აშშ-ის თეთრკანიან მოსახლეობაში გვხვდება 13,500 სისშირით. შაგ-კანიანებში ის, პრაქტიკულად, არ არის. ჩვენთან ამ დაავადების სისშირე 12,000. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადების რეცესიული გენის ჯანმრთელი მატარებლები – ჰეტეროზიგოტები – არასოდეს არ ავადდებიან ტუბერკულოზით და ქოლერით. ეს მუტაცია ამ შემთხვევაში სასარგებლოა.

ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელების და მუტანტური გენის ჯანმრთელი ჰეტეროზიგოტების შემგუებლობა პოპულაციაში არაერთმნიშვნელოვანია. მაგალითად, ნამძღვრებურჯრელოვანი ანემიის დროს ან თალასემიის გენის მატარებლებს არასოდეს ემართებათ მალარია. ჯანმრთელები კი, ვისაც არ გააჩნიათ მუტანტური გენი, ამ დაავადებისგან დაცვულები არ არიან. ჰემოგლობინოპათიების სისშირე აშშ-ში 30% აღწევს ხმელთაშუა ზღვის მიგრანტებში, ხოლო ჩვენთან – 30%-ს აზერბაიჯანელთა პოპულაციაში.

ფენილკეტონურია აშშ-ში თეთრკანიანი მოსახლეობის დაავადებაა და ხშირია ირლანდიელ მიგრანტებში (კათოლიკეები, ინბრედული ქორწინება). ასევე კავკასიელ ემიგრანტებში სისშირე – 1:10,000. ამ დაავადების სისშირე კი ჩვენს პოპულაციაში თითქმის იგივეა.

თეი – საქსის დაავადება – ამერიკაში ებრაელ – აშქენაზებში 1:3,900 შემთხვევას აღწევს. და, საერთოდ ლიბოსომური დაავადებების სისშირე – ჰურლერის, შანტის, პომპეს და სხვა – სწორედ ამ ეთნიკურ ჯგუფში მაღალია სხვა ქვეყნებშიც, ჩვენთანაც (30%) ახლონათესაური ქორწინებების გამო.

აღცკაიმერის დაავადების სისშირე აშშ-ში 10-25%-მდეა აფრო-ამერიკელ და ესპანელთა ემიგრანტებში. დაავადების ეპიცენტრს წარმოადგენენ ქალები, რაც ამ დაავადებასთან ასოცირებული ცნობილი გენეტიკური განწყობის ფაქტორებთან არის დაკავშირებული. შობადობის ზრდა კი დღეს, სამწუხაროდ, აღცკაიმერის სინდრომის შემთხვევაში ზრდასთან არის დაკავშირებული. ყოველ 10 ახალშობილში მოსალოდნელია გარკვეულ ასაკში 1 აღნიშნული დაავადების შემთხვევა. საინტერესოა, რომ არსებობს აღცკაიმერის სინდრომთან ასოცირებული რისკ-დაავადებები – ჰიპერტონული დაავადება და შაქრიანი დიაბეტი. აფრო-ამერიკელებში – პირველია, ესპანელებში კი – მეორე. აშშ-ის კავკასიელ მიგრანტებში სისშირე შედარებით დაბალია – 5-8%. ჩვენთანაც – არ აღემატება ამ მაჩვენებელს.

პათოლოგიათა მაგალითები, რომელთა გავრცელება დამოკიდებულია გენეტიკურ და არაგენეტიკურ ფაქტორებზე, მრავალია. მათი სისშირე დამოკიდებულია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „დამფუძნებლის“ ეფექტზე (გენის სისშირე საწყის პოპულაციაში), ქორწინების ტიპზე – ახლონათესაური ან ახლოეთნიკური და ბუნებრივ გადარჩევაზე. გადარჩევის დროს პოპულაციის შემგუებლობა განისაზღვრება სიცოცხლის უნარიანობით და გამრავლების ინტენსივობით.

ზოგჯერ მსგავს პირობებში მყოფი იდენტური გენოტიპების ინდივიდებში ვითარდება ფენოტიპური სხვაობა და გადარჩევის და რეპროდუქციის განსხვავებული ინტენსივობა და მაჩვენებლები. ზოგიერთი ალელი, რომელიც ზრდის გამრავლების სისშირეს აქვეითებს სიცოცხლის ხანგრძლივობას 5% ან 10%. პოპულაციის შემგუებლობა კი ამ დროს არ ზიანდება. ხანდახან კი შემგუებლობის მაჩვენებლები მუტანტური გენის მატარებელ ჰომოზიგოტებში (მაგ. ჰემოგლობინოპათიები) და ჯანმრთელ ინდივიდებში, რომლებსაც მუტანტური ალელები საერთოდ არ გააჩნიათ, დაქვეითებული აქვთ, რადგანაც ისინი ავადდებიან მალარიით. გადარჩევის ფაქტორს, ასევე წარმოადგენენ მრავალი სხვა დაავადებები – ტუბერკულოზი, კიბო, შაქრიანი დიაბეტი, და ა.შ.

მართალია, პოპულაციური გენეტიკა ჯერ, შედარებით, ახალგაზრდა მეცნიერებაა, ის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ფართოდ გავრცელებული გენეტიკური და კომპლექსური დაავადებების მიზეზების დადგენა აუცილებელია დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისათვის, როგორც ზოგად, ისე ოჯახურ პოპულაციაში. ოჯახური მედიცინის ეფექტურობა დღეს განისაზღვრება ადრეული დიაგნოსტიკით და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებით, რათა დროულად მოხდეს პოპულაციაში მძიმე შედეგების პრევენცია. ეპიდემიოლოგიურად საშიშ რეგიონებში, ოჯახური მედიცინა უნდა იყოს ის პირველადი რგოლი ჯანდაცვის სისტემაში, რომელიც რისკის დადგენის შემთხვევაში სწორად წარმართავს სიტუაციას და თავიდან ააცილებს მოსახლეობას მრავალ მოსალოდნელ პრობლემებს.

რეზიუმე: მეკვიდრული დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობს ზოგჯერ ის ფაქტორები, რომლების დაკავშირებულია მათ ოჯახურ ან ეთნიკურ ტრადიციებთან. ქორწინების ტიპები – ახლონათესავე ან ახლოეთნიკური – ხდება ხშირად ზოგიერთ ეთნიკურ (ან რელიგიურ) ჯგუფებში მძიმე შედეგების მქონე დაავადებების გავ-

რცელების მიზეზი. მოსახლეობას უნდა მიეცეს სწორი რეკომენდაციები, რათა თავიდან ავიცილოთ მათ ოჯახებს მძიმე გენეტიკური ტვირთი, აგრეთვე, დავაქვითოდ მეკვიდრული პათოლოგიების სისშირე მათ პოპულაციაში.

ლიტერატურა:

1. Медицинская генетика, Е. Я. Грефанина и соавт., ВСИ „Медицина“, 2012.
2. Медицинская генетика, Н. П. Боков, „ГЭОТАР – Медицина“, 2010.
3. Клиническая генетика, Н. П. Боков, „ГЭОТАР – Медицина“, 2008.
4. Генетика человека, В. И. Иванов, Москва, ИКЦ – „Академкнига“, 2006.
5. Генетика человека с основами медицинской генетики, Э. Д. Рубан, ООО „Феникс“, 2012.
6. Биология с основами медицинской генетики, Л. В. Акуленко, И. В. Угаров, „ГЭОТАР – Медиа“, 2010.
7. Genetics in Medicine, Seventh edition, R.L. Nussbaum at all, Thompsons & Thompsons, 2007.
8. Медицинская генетика, Р.Л. Ньюсбаум и соавт., „ГЭОТАР – Медиа“, 2010.
9. „სამედიცინო გენეტიკა“, გამომც. „თორი“, 2010.

რეზიუმე

ეთნიკური პათოლოგიები ამერიკულ და კავკასიელთა პოპულაციებში

მ. ჭიპაშვილი, მდ.მ.დ. ე. აბიანიძე, ბ.მ.დ., ც. გიბინეიშვილი, ბ.მ.დ., ე. იმნაძე, თსსუ, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც მეკვიდრული დაავადებების გავრცელება დაკავშირებულია ოჯახთან ან ეთნიკურ ტრადიციებთან. ქორწინების ტიპი – ახლო ნათესავეებსა და ეთნიკურს ჯგუფებში – შეიძლება გახდეს სერიოზული დაავადებების გავრცელების მიზეზი გარკვეულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში. სწორი რეკომენდაციების წინასწარმა გათვალისწინებამ შეიძლება ოჯახები მძიმე გენეტიკური ტვირთისგან იხსნას და მოსახლეობაში მეკვიდრული დაავადებების გავრცელების სისშირე შეამციროს.

SUMMARY

ETHNICAL PATHOLOGIES IN AMERICAN AN CAUCASIAN POPULATIONS

M.CHIPASHVILI, MD. E.ABZIANIDZE, MD. C.GIGINEISHVILI, MD E.IMNADZE
Department of molecular and medical Genetics, Tssu

There are certain cases when spreading of the hereditary diseases are associated with family or ethnic traditions. Type of marriage – between close relatives or close ethnicity groups - can be a reason for the spreading of serious diseases in certain ethnic (or religious) groups. Provision of the proper recommendations to the population would save the families from the heavy genetic burden, as well as decrease the frequency of hereditary disease in population.

მონოგიგოტური ტყუპები, დისკონკორდანობა და ლაავალებები

დ. ცხომელიძე, მ. აბისონაშვილი, მ. მერკვილაძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა პოსტნატალურ პერიოდში მონოზიგოტურ ტყუპისცალებს შორის ისეთი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების დადგენას, რომელიც მომავალში დაინტერესებულ პირთა მხრიდან გააადვილებდა მათ უკეთ ამოცნობის პროცესს და ექსტრემალურ პირობებში ხელს შეუწყობდა ამ მიმართულებით შეცდომის დაშვების ალბათობის შემცირებას. ასევე დიდ ინტერესს იწვევდა იდენტურ ტყუპებში ზოგიერთი დაავადების გავრცელების თავისებურების შესწავლა და ანალიზი.

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღო 8 მონოზიგოტური ტყუპების წყვილმა, მათმა მშობლებმა და მეგობრებმა. შევადგინეთ სპეციალური კითხვარი, რომელიც შედგებოდა 25 კითხვისაგა. პასუხების საფუძველზე და-

ვაფიქსირეთ მეტად საინტერესო მონაცემები, როგორც დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით, ასევე ტყუპებს შორის განსხვავების არსებობის შესახებ. რვავე შემთხვევაში ძირითად განმასხვავებელ ნიშნებად მშობლები ასახელებდნენ ხალის და 2კოკროჭინის არსებობას, ხმის ტემბრს, სიარულის მანერას, თვალის ჭრილი, სახის ფორმას (8-დან 6შემთხვევაში „უმცროს“ ტყუპისცალს უფრო ფართო სახე აქვს, ვიდრე „უფროსს“). ხალის, როგორც განმასხვავებელი ნიშნის არსებობა, 8-დან 7 ტყუპში დასახელდა, ხოლო 1შემთხვევაში 2კოკროჭინის არსებობა. გარდა ამისა, ერთერთ შემთხვევაში (26წლის გოგონები), პირველი ტყუპისცალი ძვალმსხვილი, ათლეტური აღნაგობის იყო, ხოლო მეორე ტყუ-

პისცალის აღნაგობა ნორმოსთენიულ კონსტიტუციურ ტიპს შეესაბამებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამოიკვეთა დისკორკორანტობა ზოგიერთი ნიშნის (ხალის, დამატებითი დვრილის) მემკვიდრულ გადაცემაშიც. ორ შემთხვევაში ხალი, მამის მხრიდან გადაეცა მხოლოდ მეორე ტყუპისცალს მემკვიდრეობით, ხოლო მესამე წყვილი ტყუპების შემთხვევაში აღინიშნება პოლითელი-მესამე, დამატებითი დვრილი, ლოკალიზებული მარჯვენა პარასტერულ ხაზზე მეშვიდე ნეკნის დონეზე, რომელიც პირველ ტყუპისცალს გადაეცა მემკვიდრეობით მამისგან. როგორც ცნობილია, ასეთი ნიშანი გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. შესაბამისად, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ აღნიშნული ატავიზმის ჰეტეროზიგოტური გენის მტარებელი მამისგან შვილებს მემკვიდრეობით ავლელთა სხვადასხვა კომბინაციები გადაეცათ. განხილული შემთხვევებიდან გამომდინარე, საკმაოდ ძნელია ვიმსჯელოთ რაიმე კანონზომიერების არსებობაზე მშობლისგან უპირატესად რომელიმე ტყუპისცალისთვის ნიშნის გადაცემის თაობაზე.

გამოკითხვისას დაფიქსირდა ორი მსგავსი შემთხვევა, როდესაც ერთერთი ტყუპისცალის ავადმყოფობის დროს დედამ შეცდომით მეორეს მისცა მედიკამენტი (3წ. და 4წ. ასაკში), ხოლო ერთ შემთხვევაში დედამ უკვე დანაყრბულ ტყუპისცალს შეცდომით მეორედ აჭამა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყურადღება გავამახვილოთ თითოეული ტყუპისცალის იმუნიტეტზე, ორგანიზმის რეზისტენტობის უნარზე ინფექციური აგენტების მიმართ. აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა: პირველ შემთხვევაში (10წლის ტყუპები, მამრ.) ანამნეზში ორივეს აღენიშნებოდა მწვავე მენინგიტი. მიუხედავად იმისა, რომ პირველივე სიმპტომების გამოვლენისას (რომელიც გამოვლინდა პირველ ტყუპისცალს – ტემპ.38,8) მეორე ტყუპისცალი მაშინვე იზოლაციაში მოაქციეს, სკვირის შემდეგ მეორე ტყუპისცალიც დაავადდა იგივე დაავადებით. 3,5 წლის ასაკში მეორე ტყუპისცალს გაკეთებული აქვს ტონზილექტომია. მეორე შემთხვევაში (8წლის ტყუპები, მამრ.) პირველი ტყუპისცალი ჰერპეს ვირუსის მტარებელი აღმოჩნდა, ვაცინების პირველივე სიმპტომების გამოვლენისას უჩნდება ჰერპესისთვის დამახასიათებელი წვრილბუშტუკოვანი გამონაყარი. ოჯახურ ანამნეზში ჰერპეს ვირუსის მტარებლობას არ აღნიშნავენ, თუმცა შესაძლოა რომელიმე მშობელი ინფექციის ლატენტური მტარებელი იყოს. მესამე შემთხვევაში (13 წლის ტყუპები, მამრ.) მეორე ტყუპისცალს ანამნეზი შედარებით დამძიმებულია ნეონატალური პერიოდის დანეგ. ახალშობილს აღენიშნებოდა ოვალური ხერხელის დაუ-

ხერხელობა, რის გამოც ოვალური ხერხელის საორიენტაციო წერილზე პოვემდე იხმინებოდა შუილი. გარდა ამისა, სისხლში აღენიშნება მომატებული თმ-ის დონე, რის გამოც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს. მეოთხე წყვილი ტყუპის შემთხვევაში (26წ. მდედრ.) მეორე ტყუპისცალს ულტრაბერითი კვლევით დაუდგინდა ორმხრივი ქრონიკული ოფორიტი.

აგრეთვე აღმოჩნდა სხვადასხვაობა ხასიათშიც. 8-დან 7ტყუპის შემთხვევაში მშობლები და მეგობრები აღნიშნავდნენ, რომ შედარებით მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათის მქონე პირველი ტყუპისცალი იყო, ხოლო მეორე შედარებით ფიცხი და ჯიუტი. საკვარაუდოდ, ხასიათის ასეთი ცვლილება შესაძლოა განპირობებული იყოს მშობიარობის პროცესში დედის მიერ განცდილი სტრესით და ტკივილის შეგრძნებით, რომელიც ტრანსფორმირდება ნერვულ იმპულსებად. აღნიშნული იმპულსები გადაეცემა და უფრო ხანგრძლივად მოქმედებს მეორე ტყუპისცალზე, რადგან უფრო დიდხანს იმყოფება საშვილოსნოში (ვიდრე არ დასრულდება პირველ ნაყოფზე მშობიარობის მეორე პერიოდიც).

რაც შეეხება ხელწერასა და თითის ანაბეჭდებს, ხელწერის გარჩევა თითქმის ყველა შემთხვევაში შესაძლებელია ერთმანეთისგან. ხოლო თითის ანაბეჭდები ნშემთხვევაში არ იცოდნენ ემთხვეოდა თუ არა ერთმანეთს, ერთ შემთხვევაში (22წ. მდედრ.) არ ემთხვევა ერთმანეთს და ერთ შემთხვევაში (20წ. მდედრ.) თითის ანაბეჭდი ემთხვევა ერთმანეთს. კვლევის დროს, 8-დან 1შემთხვევაში დაფიქსირდა საკმაოდ საინტერესო ფაქტ: ტყუპებს (20წლის, მდედრ.) ბავშვობაში ჰქონდათ თავისი სასაუბრო ენა, რომლის საშუალებითაც ეკონტაქტობდნენ ერთმანეთს და რა თქმა უნდა მხოლოდ მათ იცოდნენ თითოეული ექსტიკულაციის თუ მიმიკის მნიშვნელობა. ერთ შემთხვევაში (8წ. მამრ.) ორივე ტყუპისცალს მარცხენა ყურზე აღენიშნებოდა რუდიმენტული წანაზარდი – დარვინის ბორცვი. არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც აღნიშნული ნიშანი მემკვიდრეობით გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით ან არსებობს გენში და არ გამოვლინდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მშობლებიდან არც ერთს არ აღენიშნება მსგავსი წანაზარდი, ხოლო შვილებში ორივე ტყუპისცალში გამოვლინდა.

ლიტერატურა:

1. Nessa Carey_ The Epigenetic Revolution-2011 p.75-97
2. Tskhomelidze, M. Abisonashvili, D. Chakhunashvili _ social, ecological and clinical pediatrics – 2013. P.89-90.

რეზიუმე

მონოზიგოტური ტყუპები, დისკონკორდანტობა და დაავადებები

დ. ცხომელიძე, მ. აბისონაშვილი, მ. მერკვილაძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, მართლაც არსებობს საკმაოდ დიდი განსხვავება მონოზიგოტურ ტყუპისცალებს შორის. ასევე საინტერესოა ისეთი დაავადებების გავრცელებანი იდენტურ ტყუპებში, როგორებიცაა ოფორიტი, ჰერპესი, მენინგიტი და ა.შ. ცალკე ინტერესის სფეროა ორივე იდენტური ტყუპის მარცხენა ყურზე „დარვინის ბორცვის“ არსებობა ან ტუპუს დამატებითი დვრილის გაჩენა ერთერთი ტყუპისცალი გოგონას სხეულზე. უფრო მეტიც, მიღებული მონაცემები ალბათ უფრო საინტერესო უნდა იყოს ეპიგენეტიკური თვალსაზრისითაც.

SUMMARY

MONOZYGOTIC TWINS, DISCONCORDANCE AND THE DISEASES

D. TSKHOMELIDZE, M. ABISONASHVILI, M. MERKVILADZE
Tbilisi State Medical University

We established that there is a big discordance rate in monozygotic twins, which we have studied. As concern diseases we have got some interesting results by this direction. For example, in the monozygotic twins (age 26, female) one of them had oophoritis and the other one hadn't. In another pair of twins, in both of boy we discovered Darwins tubercle on the left ears.

ნუტრიგენომიკა – საკვები ნივთიერებების გავლენა გენების ექსპრესიაზე

მ.ჭიპაშვილი, ე.იმნაძე, ც.გიბინიშვილი.

თსუ სამედიცინო და მოლეკულური გენეტიკის დეპარტამენტი

ადამიანის გენომის გაშიფვრის შემდეგ დაიწყო ინტენსიური კვლევა დაავადებაზე პასუხისმგებელი გენების ექსპრესიის ნორმალიზაციაზე საკვები პროდუქტების გავლენით. ასე გაჩნდა ნუტრიგენომიკა – მეცნიერება, რომელიც სწავლობს საკვების გავლენას გენების ექსპრესიაზე. იგი გულისხმობს მძიმე და ქრონიკულ დაავადებების დასაძლევად და პრევენციისთვის არა სამკურნალო საშუალებების გამოყენებას, არამედ ჯანმრთელი ცხოვრების წესს და პერსონალიზებულ დიეტას [1]. ორგანიზმის ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო ძალიან რთული მეტაბოლური და ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციაში მნიშვნელოვანია გარემო ფაქტორები, განსაკუთრებით საკვები [2].

ნუტრიგენომიკის ამოცანაა გენეტიკური ტესტირების საფუძველზე, მეცნიერულად დასაბუთებული, ოპტიმალური კვების რეკომენდაციების შემუშავება ინდივიდის დეტალური გენომის, სტრუქტურის, ლიპიდების მეტაბოლიზმის, ვიტამინ B-ს, ფოლიუმის მუავას, Ca, ინსულინის სტატუსის და სხვ. გათვალისწინებით [3,8].

მუტანტურ გენი შეაფერხებს თუ არა ნორმალური გენის აქტივობას, დამოკიდებულია საკვებზე და ცხოვრების წესზე. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ჩვენს ყოველდღიურ რაციონში არსებული „ბუნებრივი მედიკამენტები“ როგორ მოქმედებენ გენების ექსპრესიაზე. ნებისმიერი პროდუქტი, რომელსაც საკვებად ვიყენებთ, განსხვავებული რაოდენობით შეიცავს ამ ნივთიერებებს. ვინაიდან, ჯერჯერობით მედიცინას არ შეუძლია მუტანტური გენის შეცვლა, ამიტომ საკვებში არსებული და გენის აქტივობაზე მოქმედი ნივთიერებების მიზანმიმართული გამოყენებით შეიძლება „საშიში“ ან დაზიანებული გენის „გამორთვა“ და ჯანმრთელი გენის გააქტიურება. დღეისათვის 20 პროდუქტში აღმოჩენილია გენის ექსპრესიის მოდულატორები. ამ სიის ფავორიტები არიან მწვანე ჩაი, ბროკოლი, ყურძენი და პომიდორი [3,8].

წითელი და შავი ყურძნის კანსა და წიპწების შედგენლობაში არსებული რესვერატროლი, მცენარეული პიგმენტი ანტოციანი და პროარტოციანიდები გენის ექსპრესიის ძლიერი მოდულატორებია. ისინი არა მარტო ამცირებენ სიმსივნით დაავადების რისკს, არამედ თრგუნავენ სიმსივნური უჯრედების გამრავლებას და მეტასტაზების წარმოქმნის უნარს, აძლიერებენ იმუნიტეტს. ამერიკელმა მეცნიერებმა კენტუკის უნივერსიტეტიდან ყურძნის წიპწებიდან გამოიყვეს ფლავონოიდების ჯგუფის ნივთიერება, რომელიც ლეიკემიის სამკურნალოდ გამოიყენება. რესვერატროლი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამომწვევი გენების ინჰიბიტორსაც წარმოადგენს. მის დღიურ დოზას შეიცავს ყურძნის სამი მტევანი ან 120გ ყურძნის წვენი, განსაკუთრებით – შავი [4,2].

ფილადელფიის და დეტროიტის ონკოლოგიური ცენტრის მკვლევარების მონაცემებით სიმსივნის პროფილაქტიკაში მნიშვნელოვანია პომიდორის ნივ-

თიერება ლიკოპინი, რომელიც შლის სიმსივნურ უჯრედებს და აქვეითებს მეტასტაზების წარმოქმნის უნარს [3,4]. ლიკოპინი იხსნება ცხიმში, ამიტომ შეთვისებისათვის მცენარეულ ცხიმთან ან ყველთან ერთად უნდა იქნეს მიღებული.

მწვანე ჩაი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტს – ეპიგალკინს. ეპიგალკატეხინ-3-გალატი (EGCG), რომელიც მწვანე ჩაის მთელი პოლიფენოლების 50-80%-ს შეადგენს. იგი ააქტიურებს ჯანმრთელ გენს. EGCG-ით მდიდარია ჩაის ნაზი, 5-6 ფოთლიანი ღუეები. ჯანმრთელი გენის ექსპრესიის გააქტიურებისათვის საჭიროა დღეში 5-6 ფინჯანი ჩაის ან 300-400გ ბროკოლის მიღება [4].

სამსრეთ კაროლინის სამედიცინო უნივერსიტეტის მკვლევარების [6,7] მონაცემებით, ნიორის შედგენლობაში არსებული ორგანული სულფიდები – Diallyl sulfide (DAS), Diallyl disulfide (DADS) და Diallyl trisulfide (DATS) ააქტიურებენ ე.წ. სტრესულ კინაზა p38 MAPK, IUNK1-ს და ცისტინური უჯრედების სწრაფ აპოპტოზს იწვევენ. ნიორის სულფიდი ტკიპაცრემონენე წარმოადგენს სიმსივნური უჯრედების საიმედო „ქილერს“. იგი კიბოს უჯრედების ზრდისა და სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ძნელად მოსახელთებელი Bcl-2, cIAP/2, XIAP, iNOS, COX-2 გენების ინჰიბიტორია და ამავედროულად ააქტიურებს სიმსივნის აპოპტოზის გამომწვევ Bax, caspase-3, PARPP გენებს [5,7].

გენეტიკური დარღვევები დროს უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ერთნუკლეოტიდიან პოლიმორფიზმებს – შ . ისინი გამოიწვევენ თუ არა დაავადებებს, გარემოზედაც არის დამოკიდებული. შესაბამისად, გენები და გარემო ფაქტორები დაავადების მიზეზია. არც იშვიათად ვისმენთ, რომ ზოგი მწველი ჯანმრთელად გრძობს თავს ღრმა მოხუცებულობის ასაკშიც, ე.ი. გამოდის, რომ მწველობა არც ისე საშიშია ჯანმრთელობისათვის. მაგრამ ამ პრობლემას თუ ეპიგენეტიკის პოზიციებიდან გადაანალიზებთ, პასუხს ადვილად ვიპოვით: მოწვევა უდაოდ მავნებელია, მაგრამ მავნებლობის ხარისხი დამოკიდებულია ორგანიზმის პოლიმორფულობის სტატუსზე [1,4,7].

საკვებ ნივთიერებებს შეუძლიათ შეცვალონ ეპიგენეტიკური ფენომენი, როგორცაა დნმ-ის მეთილირება და ჰისტონების მოდიფიკაცია, და ამ გზით იმ გენების ექსპრესია, რომლებიც განაპირობებენ ფიზიოლოგიურ და პათოგენურ პროცესებს. მათ შორის: ემბრიონულ განვითარებას, დაბერებას და კანცეროგენეზს [3]. საკვების ბიოაქტიური კომპონენტები გავლენას ახდენენ ეპიგენეტიკურ ფენომენზე ან პირდაპირი ზემოქმედებით ფერმენტებზე, რომლებიც აკატალიზებენ დნმ-ის მეთილირებას ან ჰისტონების მოდიფიკაციას, ან ამ ფერმენტების აქტივობისათვის აუცილებელ სუბსტრატებზე მოქმედებენ. ნუტრიციული ეპიგენეტიკა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, გარ-

კვეული პედიატრიული დაავადებების, სიმსივნეების და დაბარების პროცესების პრევენციისათვის [3,8]. უკანასკნელ წლებში ეპიგენეტიკა გახდა განსაკუთრებით აქტიური ისეთ დაავადებებთან მიმართებაში, როგორცაა მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, ანთება და ნეიროკოგნიტიური პათოლოგიები. ამჟამინდელი ცოდნა ნუტრიციულ ეპიგენეტიკაში მწირია. საჭიროა შემდგომი კვლევები, რათა უკეთ გავიგოთ საკვების ბიოაქტიური კომპონენტების ეპიგენეტიკური მექანიზმების მოდიფიკაციების მნიშვნელობა ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და დაავადებების პრევენციისათვის.

ლიტერატურა:

